

# Зынд

Region

№38  
2019 წლის მარტი

ჩვენს რეგიონში კავკასიის  
ღმრთის ძეგლებსა და კავკასიის  
მეფის უნებებებს



ფასი 2 ლარი



# თვალის პრობლემა გაქვთ? შიშანთათ მანანა შერიოზიას თვალის კლინიკას



გთავაზობთ უახლესი ტექნოლოგიებით და კომპიუტერული მეთოდით ბავშვთა და მოზრდილთა თვალის ისეთი დაავადებების კომპლექსურ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, როგორცაა: სიელმე, ამბლიოპია, რეფრაქციის ანომალიები (მიოპიური, ჰიპერმეტროპიული და შერეული ასტიგმატიზმები), კატარაქტა, გლაუკომის სანყისი სტადიები, ბადურის დისტროფიები, უცხო სხეულები, ტრავმები, მინისებრი სხეულის შემღვრევა, ბლუფარიტები, დაკრიოციტები, კერატიტები, ინფექციური და არაინფექციური კონიუნქტივიტები და სხვა უცხო გენეზის დაავადებები.

მედიცინის დოქტორი, წამყვანი ოფთალმოლოგი, თვალის კლინიკის დირექტორი მანანა შერიოზია.



მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №3  
(ყოფილი შერიოზიას ქუჩა) მეტრო მარჯანიშვილთან  
ტელ: 2 95-98-98 მობ: 593 31-00-30; 593 94-86-26  
E-mail: [eyeclinicsherozia@gmail.com](mailto:eyeclinicsherozia@gmail.com)



2011



2010

2006



2007



2004



1995



2001



1991



1968



1980



1956



1933 Analogico



1950



1800-1900 Acustico



# სასმენი აპარატების ევოლუცია

# სარჩევი

ქართული საეკლესიო გალობის მოამაგნი .....2-3	ძილი საუკუნო .....18
ნიქოფსიიდან დარუბანდამდე .....6-7	რამაზ ჩხიკვაძის ბოლო დღეები .....19-21
შურსა და ცილოზე ამაღლებული .....8-9	სათაფლიაზე ორი უვალია .....22-23
აჯადემიქოსი სიმონ ხეჩინაშვილი .....10-14	აქ ოდესღაც გიგანტური დინოზავრები ცხოვრობდნენ .....24-25
საუკუნის ადამიანი .....15-17	ბავშვებო, შეუნდეთ უფროსებს .....26-27
	ანეკდოტები .....28



მთავარი რედაქტორი და გამომცემელი  
**ლელა სურმავა**

ტელ: 558 25 65 50

ელფოსტა: [Guriaregion14@mail.ru](mailto:Guriaregion14@mail.ru);  
[lelasurmava@mail.ru](mailto:lelasurmava@mail.ru)

## კვირფასო კითხველავო!

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები,  
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ  
თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები.  
გაითვალისწინეთ, ჟურნალში განთავსება ფასიანია.

**ჟურნალი თავისუფალი ჰრასის ჰრინცივით ხელმძღვანელოვს.**

რედაქციაში შემოსული მასალების სიუხტაზა ჰასუხს აზაბს აზბორი,  
ხოლო სარაქლაშო ბაქსტაზა ჰასუხისგზაბლოზა რაქლაშის შაგავეთს აანსრაზა.

# ქართული საეკლესიო გალობის მოამაგენი

გვარი ჩვენი წინაპრის, პეტრე ხმალაძიდან მომდინარეობს. ზედმეტსახელად კარბელას ეძახდნენ. დედუღეთი, სადაც ის გაიზარდა, კარბი იყო. როცა ქვემო ქალაში დაბრუნდა, კარბელა შეარქვეს. იქ ცხოვრობდა ჩემი პაპა, ანდრია კარბელაშვილი. ქვემო ქალაში აღიზარდა მამა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლუარსაბ კარბელაშვილი. ხშირად ჩადიან ჩემი შვილები გიორგი და ლევანი, შვილიშვილი ანდრია კარბელაშვილი.

ვიხსენებ ტირიფონის ველზე პაპის ტრაგიკულ გარდაცვალებას. შეეყურობ სახლის იმდროინდელ კედლებს, ფრთხილად დავდივარ ბალის ბილიკებზე, ველოლიავები აქაურობას, აივნიდან ვუცქერ ცვილის ციხეს, რომლის ახლოს პატარა ანდრია, ვასილი და პოლიევქტოსი ხალხური სიმღერებით აოცებდნენ ამილახვრებს და ერისთავებს. ქვემო ქალის საჯარო სკოლა მამის, ლუარსაბ კარბელაშვილის სახელს ატარებს. ჩვენი სოფლის ისტორიას მიუძღვნა სადოქტორო შრომა ქართლის სოფელი.

სათუთად ვინახავ საპატრიარქოს უწყებანის 2004 წლის 6-12 აგვისტოს ნომერს. გარეკანზე არის ანდრიას, პეტრეს, ვასილის და პოლიევქტოსის ფოტო წარწერით ქართული საეკლესიო გალობის მოამაგენი – ძმები კარბელაშვილები.

ასეთივე ფოტო აქვს გადმოცემული საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრს – ძმები კარბელაშვილები, ქართული გალობის დიდი მოამაგენი, აღმოსავლეთ საქართველოს ძველი საეკლესიო გალობის შემნახველნი.

\* \* \*

ქვემო ქალაში გარდაიცვალა 93 წელს გადაცილებული ოლია თათრიშვილი. თანასოფლელები უყვებოდნენ ანდრიას და პეტრეს დახვრეტას. როგორ შეიტყვეს ტირიფონის ტრაგედია. შემდეგ პირველებმა იხილეს შემად-



დავით გარეჯი, ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

რწუნებელი დახვრეტის ადგილი. მისი თქმით, პატიმრების წინ უშიშრად იდგა ორი ღვთისმსახური. როცა პირველი თოფის ხმა გაისმა, ხელჩაკიდებულნი წინ აღუდგნენ ტყვიებს. სურდათ პატიმრები გადაერჩინათ და თავიანთი სისხლით დაეცვათ ისინი. იქნებ, მარტო ჩვენს სიკვდილს დასჯერდნენო.

## აღვრთოვანებული ილია ჭავჭავაძე

პოლიევქტოს კარბელაშვილმა შეაგროვა დავით გარეჯის მონასტერში დაცული მდიდარი ხელნაწერები, შეადგინა მათი კატალოგი. 1886 წლის 4 თებერვალს გამოქვეყნდა გაზეთ ივერიაში. ილია ჭავჭავაძე წერდა, – ჯერ მარტო დავით გარეჯის მონასტერში ასზე მეტი წიგნი აღმოჩენილა, მათ შორის იმისთანა თავისი სიძველით, რომ ფასდაუდებელია.

დიდი ილია აღვრთოვანებული იყო პოლიევქტოს კარბელაშვილით: პოლიევქტოს კარბელაშვილმა აღწერა 132 ხელნაწერი, მათგან 22 ტყავზე ნაწერი იყო.

ტყავზე ნაწერი ხელნაწერი ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოშვალ გაზეთ ივერიის 1889 წლის 26-ში, ხოლო გაგრძელება 32-ში დაიბეჭდა: საინტერესო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები დავით გარეჯის უდაბნოს ტყავზე ნაწერი ხელნაწერებისა.

## საქართველოს ისტორიის მოამბე

პოლიევქტოს კარბელაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში და ქალაქ თბილისში. უცნობია, როდის დასახლდა სოფელ გურჯაანში (გურჯაანიდან გაზეთებში გაგზავნილი კორესპონდენციები 1870 წლიდან გვხვდება). ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო გურჯაანის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძრის წინამძღვარი.

მრავალწევროვანია მისი მოღვაწეობა. ისტორიის კარგი მცოდნე, მკვლევარი, ჟურნალისტი, ბევრი ხელნაწერი წიგნის კატალოგი შემოუნახა ქართულ ლიტერატურას. გადაწერა და შემოინახა 2000-მდე სიგელ-გუჯარი. ამჟამად ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში. რამდენიმე ნაშრომი საქართველოს ისტორიიდან და ქართული ეკლესიის ისტორიიდან, მათ შორის გამორჩეულია იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი (1900.). ქართული საერო და სასულიერო კილოები (1898.) ძველი ანჩისხატის ტაძარი ქალაქ თბილისში (1902.) და სხვ.

1889 წელს პოლიევქტოს კარბელაშვილი ეწვია დავით გარეჯის მონასტერს. შეისწავლა იქ არსებული ბიბლიოთეკა. მისი გადმოცემით, დავით გარეჯში იყო 110 ცალი ხელნაწერი წიგნი, მათ შორის 22 ტყავზე ნაწერი. წიგნებს



**წმინდანები პოლიევქტოს, ვასილ, პეტრე, ანდრია კარბელაშვილები**

ჰქონდა საინტერესო მინაწერები. მან გადმოიტანა და გაშიფრა ტყავზე დაწერილი წიგნების მინაწერები. სწუხდა, დანარჩენის გადმოღება რომ ვერ მოასწრო.

პოლიევქტოსი განიცდიდა, ჩვენი ქვეყნის წარსულის ამსახველი დოკუმენტები და ძეგლები რომ ზიანდებოდა, უკვალოდ იკარგებოდა და მომავალი თაობა ვერ იხილავდა. ამ მხრივ გამორჩეულია მისი კორესპონდენცია სვანეთში ორი კვირით. აღწერს თავის მოგზაურობას სვანეთში. შეისწავლა სვანეთის ძველ ეკლესია-მონასტრებში არსებული ისტორიული მასალები. ყურადღება მიაქცია ერთ ეკლესიას, რომელსაც მხატვრობა გარედან ჰქონდა – ნაწილი ჩამონგრეული. კედელზე ასახული იყო დევგმირების ბრძოლა ამირან-დარეჯანთან.

პოლიევქტოს კარბელაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული საერო და სასულიერო სიმღერების შესწავლას. მისი თქმით, კაცის მჭამელზე უარესია, მომსპობი და შემცვლელი საეკლესიო გალობისა და სიმღერებისა – უცხო იქნება იგი თუ შინაური. სამშობლო გალობის და სიმღერის დაკარგვას და შეცვლას, მე ვადებ სამშობლო ენის, თვით სამშობლოს დაკარგვას.

პოლიევქტოსის მოსაზრებით. საგალობელში ჩართული სამუსიკო ნიშნები ქართული საეკლესიო მუსიკის უძველეს დროში წარმოიშვა. შემდეგ მისი პოზიცია უფრო გააღრმავა პავლე ინგროყვამ. პოლიევქტოსმა და ვასილმა 90-იან წლებში ჩაიწერეს ქართული საგალობლები და ცალკე კრებულად გამოსცეს. 1910 წელს ეს მასალა ქალ-ვაჟთა გუნდისთვის დაამუშავა ზაქარია ფალიაშვილმა. სამუსიკო ხელოვნების დიდოსტატმა კრებულის სახით გამოსცა იგი.

გამორჩეულია პოლიევქტოს კარბელაშვილის ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები.

კარბელაშვილების საგვარეულო წარმომადგენლები იყვნენ საუკეთესო მომღერალ-მგალობლები. გამოირჩეოდა პეტრე კარბელაშვილი. იყო კარგი მგალობელი. სხვადასხვა სასწავლებელში მუშაობდა გალობის მასწავლებლად. ასევე, ხელმძღვანელობდა მგალობელთა გუნდებს. კარგად გალობდა პოლიევქტოსის მამა, გრიგოლი, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა გალობას.

1884 წელს პოლიევქტოსი და ვასილი მონაწილეობდნენ ქართლ-კახური გალობების ნოტებზე გადატანაში. იმდენად დიდია პოლიევქტოსის ღვაწლი ქართლ-კახური სიმღერა-გალობის შენარჩუნებაში, რომ კარბელაშვილები უწოდებენ.

პოლიევქტოს კარბელაშვილი მეგობრობდა მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, კორნელი კეკელიძე, მოსე ჯანაშვილი და სხვ. აკაკი წერეთელს თავისი მოგზაურობის დროს, ღამე გაუთევია სოფელ გურჯაანში, პოლიევქტოსის სახლში. პოეტი წერს: ერთი ღამე გზაში მამა პოლიევქტოს კარბელაშვილისას გავათიე, სადაც გავსინჯე მისი ქართული ბიბლიოთეკა, უზომოდ კმაყოფილი დავრჩი ამ საზოგადო მოღვაწეზე, როგორც მამა დეკანოზ ღამბაშიძეზე, ჩემს თავგადასავალში ბევრი რამ მექნება მოხსენიებული...

პოლიევქტოსი იყო ალექსანდრე ყაზბეგის მოძღვრის პროტოტიპის, ბესარიონ ბერის ბიოგრაფი. აი, რას წერს იგი: ჩვენ ნამდვილად ვიცით ალექსანდრე ყაზბეგს ბესარიონის უბინო ცხოვრებამ დაანერინა მოძღვარი. მწერალმა პოლიევქტოსის მისწერა, – გეთაყვა, პოლე, შემატყობინე, როდესაც მოძღვარი დადის, ყოველთვის თან დააქვს თუ არა ზიარება? მისი პასუხის შემდეგ გააგრძელა ნაწარმოებზე მუშაობა.

საქართველოში განძეულობა ინახებოდა ეკლესიებში ან სამეფო კარზე. 1907 წლის 20 ოქტომბერს შედგა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელთა კრება. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი. მის მოადგილეებად პოლიევქტოს კარბელაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, მოსე ჯანაშვილი, იუსტინე აბულაძე. პოლიევქტოსს დაევალა, კახეთში ძვირფასი განძეულობის შეგროვება. დიდი მატერიალური კულტურა ექვთიმეს ჩააბარა, რომლის მეთვალყურეობით მოიარა საფრანგეთი. 25 წლის შემდეგ, ისევ ექვთიმეს ხელით დაუბრუნდა საქართველოს...

ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს, სიონის ტაძარში პოლიევქტოსმა მეგობარს და თანამოკალმეს სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაუხადა. ქართული ეკლესიის მოამაგემ საოცარი სიტყვა წარმოთქვა.

პოლიევქტოს კარბელაშვილის ოჯახი სოფელ გურჯაანში გამოირჩეოდნენ საქველმოქმედო საქმიანობით. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ხალხის სწავლა-განათლებაში. ეკლესიის და ქართული გალობის მოამაგე გარდაიცვალა 1938 წელს.

**ანდრე კარბელაშვილი**



**გიორგი კარბელაშვილი და ამერიკელი მგალობლები ქვემო ქალაში**

თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩაზე შენდება წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძარი. გთხოვთ, შეიტანოთ თქვენი წვლილი, ერთად ავაშენოთ ღვთის სახლი. მადლობას გიხდით.



ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი  
გიორგი უგრეხელიძე



GE94LB0115137832317000  
LBRTGE22  
სს ლიბერთი ბანკი

GE64BG0000000670704800  
BAGAGE22  
სს საქართველოს ბანკი

GE73TB7344136080100005  
TBCBGE22  
სს თიბისი ბანკი



# ნიკოფსიიდან დარუბანდამდე

XI საუკუნეში ქართულ სახელმწიფოთა აღმოსავლეთი საზღვარი კვლავ შაქსა და კაბალას შორის გადიოდა. საზღვარი არ ყოფილა სტატიკური; შარვან-შაჰთა ქრონიკებმა შემოგვინახა ცნობები იმ ბრძოლების შესახებ, რომლებიც კახეთის სამეფოსა (ზურგს უმაგრებდა აფხაზთა და ქართველთა სამეფო) და შარვანს (ეხმარებოდა რანის სამირო) შორის სასაზღვრო ციხესიმაგრეებისთვის იყო გაჩაღებული.

XI ს-ის მეორე ნახევარში თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო თურქ-სელჩუკებმა წაღიქეს. დავით აღმაშენებელმა სამეფო ველური ურდოებისგან განმინდა, საბრძოლო მოქმედებები ჩრდილოეთ სომხეთსა და შარვანში გადაიტანა და ორივე მხარე თავის სამფლობელოებს შემოუერთა. საქართველოს სამეფოს საზღვრები აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე გადაიჭიმა.

დემეტრეს მეფობაში (1125-1156 წწ.) შარვანში აღდგა ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც დარუბანდით ხირხალამდის ვრცელდებოდა. ხირხალი, იგივე ხალხალი (ვართაშენთან), დღესაც შემორჩენილია დასავლეთ აზერბაიჯანის ტოპონიმისა და ჰიდრონიმისაში. გამოდის, რომ სახელმწიფო საზღვარს ვართაშენისკენ გადაუნაცვლია. თამარისა (1184-1207/1210 წწ.) და მისი მემკვიდრეების – ლაშა გიორგის (1207/1210-1223 წწ.) რუსუდანის (1223-1245 წწ.), დავით ულუს (1247-1270 წწ.) – დროს მონარქიის აღმოსავლეთის მიჯნებამ ქართულ მატრიანეებში დასახელებულია გულისტანი (შამახასთან მდებარეობს), შამახის მთები, ბაგავანი, ჩალან-უსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი, – გვამცნობს XIV ს-ის უცნობი ისტორიკოსი. ყველა ეს გეოგრაფიული სახელი ერთსა და იმავე სასაზღვრო ხაზზე მიუთითებს – იმ მთათა ჯაჭვზე, რომელიც დაახლოებით, დღევანდელი ბაბადალიდან კავკასიონის მთავარ ქედს გამოეყოფა, შამახას რაიონს დასავლეთით ჩაუვლის და მტკვარს მიადგება. ამრიგად, შარვანის დაბლობი, იგივე კაბალა და მისი ქვეყანა XII საუკუნის მიწურულიდან საქართველოს სამეფოს ნაწილად იქცა.

ასეთი ვითარება გრძელდებოდა XIV საუკუნის დასაწყისამდე. მონღოლთა ილხანური სახელმწიფოს პირველი ვაზირის, რაშიდ ად-დინის, ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1304-1316 წწ. შორისაა შედგენილი, აზერბაიჯანში იხსენიება ყარაბაღის, მულანის, არანისა და შაქის ვილაიეთები. ამავე წერილში ცალკე ვილაიეთებადაა დასახელებული აზნიკი და საქართველო. მაშასადამე, საქართველოს სამეფოს შაქიც დაუკარგავს და მის აღმოსავლეთით მდებარე კაბალაც; იმავე საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ სპარსულ გეოგრაფიულ ტრაქტატში კაბალა შარვანის პროვინციადაა დასახელებული, ხოლო კაბალის მთის დასავლეთით მდებარე მინები, ანუ შაქი, საქართველოს საზღვრებშია ნაჩვენები. XIV საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისთვის შაქიც შარვანის საზღვრებში აღმოჩნდა.

## სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრები ტაშირ-ძორაგეთის სამეფო

სამხრეთის საზღვარი რანთან (შემდეგ განძის სამიროსთან) მტკვარს მიუყვებოდა.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარე ბერდუჯიდან (ძეგამიდან) იწყებოდა ქვემო ქართლი, რომლის დიდი ნაწილი, როგორც ზემოთ ვთქვით, სომხებს ჰქონდათ დაპყრობილი. X ს-ის ბოლოს აქ შეიქმნა კვირიკიანთა სამეფო – ანისელ სომეხ ბაგრატიუნთა ვასალური სამეფო.

ამ პოლიტიკურ ერთეულს ლორე-ტაშირის ან ტაშირ-ძორაგეთის სამეფოც ეწოდება ხოლმე. ის შემდეგ თემებს მოიცავდა; სომხითი ანუ ქართველთა ველი, ტაშირი, ძორაგეთი და სევორდის მხარე ციხე-სიმაგრეებითურთ: კაიანი, კაინონი, ხორ-ხორუნიქი, ხოროშნი, ხორაკერტი, ბაზკერტი. მისი ცენტრები იყო სამშვილდე და ლორე.

XX საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანეცი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „981 წ. ამ დროს დაიწყო ბაგრატიუნთა მეფობა ქართველებზე. რამეთუ გურგენი (იგივე კვირიკე, სუმბატ სომეხთა მეფის უმცროსი ძმა – ავტ.) გამეფდა საქართველოში“. მაშასადამე, სომეხი ისტორიკოსის თვალსაზრისით, ლორე-ტაშირი ქართული ქვეყანა იყო. მიუხედავად იმისა, რომ იქ სომხური დინასტია გამეფდა. სომეხ მემატრიანეთა ამ თვალსაზრისს ამყარებს ქვემო ქართლის



მეფე დავით აღმაშენებელი

არქიტექტურული ძეგლები და ეპიგრაფიკა. საეკლესიო ხუროთმოძღვრება იმის მანიშნებელია, რომ სომხური საერო და სასულიერო მმართველი წრეები ცდილობდნენ ლორეს სამეფოს ჩრდილოეთ ნაწილის არმენიზაციას (კულტურულს, ეთნიკურს), მაგრამ იმავე დროს ანგარიშს უწევდნენ მძლავრ ადგილობრივ (ქართულ) ტრადიციებს.

ბოლნისის და დმანისის წარწერები მეტყველებს, რომ მაშავრისა და ფოლადაურის ხეობების მკვიდრები ქართველები იყვნენ. ტაშირ-ძორაგეთის სამეფოს სამხრეთ და აღმოსავლეთ პროვინციებში (ტაშირი, კანგარქი, ძორისა და კოლბის ხეობები) სომხური ეთნოკულტურული ელემენტი შედარებით ძლიერად იყო წარმოჩენილი. ეპიგრაფიკა და არქიტექტურა ამისი უცილობელი მოწმობაა. ამავე დროს ქართული ეპიგრაფიკის გავრცელება, წმინდა ქართული სამოხელეო ინსტიტუტებისა (მამფალი) და დიოფიზიტობის მძლავრი ნაკადის დადასტურება (ჰიუნე-ვანის, იგივე ძელი ჭეშმარიტის საეპისკოპოსოს დაარსება ლორეს მახლობლად XI ს-ის დასაწყისში) ლორეს სამეფოს ამ ნაწილში სომხურის გვერდით ძლიერი ქართული თემების არსებობაზე მეტყველებს.

ტაშირ-ძორაგეთის სამეფო – ეს იყო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სომხური სამეფოს დამკვიდრების უმედეგო ცდა. რადგან ქვეყანა კვლავ ქართული რჩებოდა.



ტაშირ-ძორაგეტის სამეფო არ ყოფილა მონოლითური. აქ ერთმანეთს ეცილებოდნენ ქართველი და სომეხი (ანელი) ბაგრატიონები. განჯის შადადიანები, ბიზანტიელები, მოგვიანებით, სელჩუკები. XI ს-ის შუახანებისთვის ბაგრატ IV-მ ადგილობრივი ქართული საზოგადოების დახმარებით, დაიბრუნა სამშვილდე და კვირიკიანები თავის ვასალად აქცია – ეგრევე ჰმონებდეს სომეხნი, – წერს უცნობი ქართველი მემკვიდრე.

საქართველოს სამეფოს სამხრეთის მიმართულებით გაფართოება სელჩუკთა შემოსევებმა შეაფერხა. მაგრამ დავით აღმაშენებელმა და დემეტრემ მთელი ქვემო ქართლი განმინდეს სელჩუკებისგან და მტკვრის მარჯვენა სანაპირო ჯავახეთის მთებიდან მდინარე ბერდუჯამდე დედსამშობლოს დაუბრუნეს.

### სომხური და ალბანური მიწები ქართულ სახელმწიფოში

წარმატებულმა ბრძოლამ ბიზანტიელთა და სელჩუკთა აგრესიის წინააღმდეგ, XI საუკუნეში უცილობლად ცხადყო საქართველოს სამეფოს პირველობა კავკასიაში. სამხედრო ძლიერება, შემწყნარებლური დამოკიდებულება უცხო ერებისა და კულტურებისადმი, მმართველი სახლის დინასტიური მოყვრობა მეზობლებთან – ყოველივე ეს საქართველოს ნანატრ მფარველად და მოკავშირედ სახავდა. კავკასიის პოლიტიკური გამთლიანების პროცესი, სომხური მიწების შემოერთებით დაიწყო. ჯერ კიდევ 1045 წელს „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა...“, მარიამ დედოფალს, არწრუნთა სახლის წარმომადგენელს. ამჯერად, წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა, რამდენიმე თვეში ანისი ბიზანტიელთა ლუკმად იქცა. შემდგომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი დავით IV-მ გადადგა. 1124 წელს ანელ „მეწიგნეთა თავადთა“ თხოვნით მან „გაათავისუფლა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანი“ (მათეოს ურჰაიეცი, XII ს-ის I ნახევრის სომეხი მწერალი) და საქართველოს სამეფოს შეუერთა. ისლამური სამყაროს ერთსულოვანება გამოსვლამ მისი მემკვიდრე, დემეტრე I, აიძულა, ანისის ვასალობით დაკმაყოფილებულიყო. ანისისა და დვინისთვის ბრძოლას ცვალებადი წარმატებებით გიორგი III (1156-1184 წწ.) განაგრძობდა. კავკასიის სამეფოს შემომტკიცება საბოლოოდ XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში, თამარისა და ლაშა-გიორგის დროს მოხდა. მტკვარსა და არაქსს შორის მდებარე თითქმის ყველა სომხურ-ალბანური ტერიტორია – ანისი-შირაკი, არარატი, გელაქუნი, შამქორი, გარდამანი, ხაჩენი, სივნიეთი, კარი კალზევანი-თურთ და სხვ. (არანისა და ნახჭევანის გარდა) – ქართული მონარქიის საზღვრებში აღმოჩნდა.

ამრიგად, XII-XIII სს. მიჯნაზე საქართველოს სამხრეთ საზღვრად მდ. არაქსი (სათავეებიდან მტკვართან შეერთებამდე) დაიდო. სწორედ ამ დროს შემუშავდა მეზობელ ისლამურ სამყაროში ის პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფორმულა, რომელიც XVII ს-ის I ნახევარშიც ცოცხლობდა მახლობელი აღმოსავლეთის იმპერიებში: მდინარე არეზისა (არაქსის) და ზანგის (რაზდანის) ჩრდილოეთით, – აღნიშნავდა თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები, – ორმოცი დღის სავალი კავკასიის მთების ჩათვლით, ხაზართა ზღვამდე (კასპიის ზღვამდე) დაღისტანად და საქართველოდ ითვლებოდა; და ეს იმ დროს, როდესაც სამხრეთის ტერიტორიები საქართველოს რამდენიმე საუკუნის წინ ჰქონდა დაკარგული.

თანადროული სომხური წყაროები შემოერთებული ტერიტორიების სტატუსს ასე განსაზღვრავდნენ; „ქართ-

ველთა ხელისუფლების ქვეშ მყოფი მთელი სომხური საქრისტიანო“, „ქვეყანა, რომელიც მახვილითა და ხელით არის აღებული და საქართველოს სამეფოს საკუთარ სამემკვიდროდ ინოდება“. სომხურ-ალბანურ მიწებზე ქართული წეს-წყობილება გავრცელდა. გაჩნდა ქართული მონასტრები (ჩანგლი, ჭალა და სხვ.) და საეპისკოპოსოები (ანისი, კარი, ვალაშკერტი).

მაჰმადიან ქვეშევრდომთა ინტერესების „დაცვას“ ხანდახან მეზობელი იმპერიები ცდილობდნენ. XIII ს-ის 20-იან წლებში ხვარაზმელებმა საქართველოს ჩამოაჭრეს სასაზღვრო პროვინციები: კაბალა, შაქი, შამქორი, მაგრამ უკვე 30-იან წლებში, დამპყრობთა გაქცევისთანავე, ქართველებმა არა მხოლოდ დაკარგული ქვეყნები დაიბრუნეს, არამედ შემოიერთეს არაქსის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მხარეებიც: აბნიკი (სამხრეთ ბასიანი), ბაგრევანდი (ვალაშკერტი), სურბმარი.

საქართველოში გაბატონებულმა მონღოლებმა საზღვრები უცვლელად დატოვეს. XIII ს-ის მიწურულს ყაენებმა ისლამი მიიღეს. აჯანყებათა აღში გახვეულ ქრისტიანულ საქართველოსთან შედარებით, მათ უპირატესობა უფრო მორჩილ მაჰმადიანურ სამფლობელოებს (შირვანი, რანი, ხლათი, არზრუმი) მიანიჭეს. მონღოლები წინ აღუდგნენ ქრისტიანული საქართველოს საზღვრების გაფართოებას ისლამური ვილაიეთების ხარჯზე. დაიწყო მონაპირე ქვეყნების გეგმაზომიერი ჩამოჭრა. ასე თანდათან დაიკარგა XIII ს-ის მიწურულიდან XIV ს-ის 30-იან წლებამდე აბნიკი, ვალაშკერტი, ყალზევანი, სურბმარი (არაქსის მარჯვენა სანაპიროზე), დვინი და შარური (არაქსის მარცხენა სანაპიროზე), შამქორი და გარდამანი (მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე), მონღოლთა სამსახურში მდგარი სპარსი დიდმოხელე ჰამდალლაჰ ყაზვინი (XIV ს.), რომ საქართველოს „მაგარი ციხე“ ხუნანი „არანის“ საზღვრად მდგარი „ერთ მალალ ბორცვზე“. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ 1) წაღებული ქვეყნები ყოფილ მაჰმადიან მფლობელებს დაუბრუნდათ (ამ შემთხვევაში, შამქორი – განძის საამიროს); 2) საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი ხელუხლებელი რჩებოდა და საზღვრები ტრადიციულ ოროგრაფიულ ხაზზე გადიოდა (ამ შემთხვევაში – ხუნანზე, უკეთ, მდ. ბერდუჯზე).

XIV საუკუნის 30-იან წლების ბოლოდან კავკასიაში გაძლიერდა მონღოლ-თურქმენულ ტომთა თარეში. მათი ჩამოსახლება და ადგილობრივების აყრა-გადასახლება თუ ასიმილაცია-გამაჰმადიანება. ისლამური სამყაროს გააქტიურებათან ერთად, შეიკვეცა საქართველოს სამხრეთის საზღვრებიც. 40-იან წლებში დაიკარგა არარატი და სივნიეთი (30-იან წლებში ორივე ქვეყანა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია; 1336 წელს ყირიმში ჩასული სომეხი ტერტერა ამაყად აღნიშნავს: „მოვედი საქართველოდან... შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან“; 1337 წ. სივნიეთში გადანერილი ერთი სახარების ანდერძ-მინაწერში ამ კუთხის მთავარი „სომეხთა და ქართველთა დიდ მხედართავარად“ იწოდება), 60-იანი წლების შემდეგ – კარი (ჯერ კიდევ 1363 წ. ჩანგლში ქართული მონასტერი მოქმედებდა), XIV-XV სს. მიჯნაზე, თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად – ანისი, ამბერდი და ბიჯნისი.

მომთაბარეთა პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილ საქართველოს სამეფოს მესვეურთ საზღვართა განმტკიცებასა და ძალთა კონსოლიდაციაზე უნდა ეზრუნათ. ამ მიზნით, XV ს-ის 30-იან წლებში ალექსანდრე I დიდმა (1412-1442 წწ.) „შემოიკრიბნა... სპანი და მოვიდა ამბერდს, განაგნა მუნებურნი და დაიმორჩილა“. ამის შემდეგ, დღის წესრიგში სივნიეთის შემოერთების საკითხიც დადგა. სივნიეთის მეპატრონეები, ორბელიანები, რომლე-

ბიც აქამდე უფლისციხეს იყვნენ შეფარებულნი, ლორეში დაასახლეს. მათ თავიანთი როლი კარგად შეასრულეს და ქართველი მთავრის, ბეშქან ორბელიანის ხელთ აღმოჩნდა „სიუნიქის (სივნიეთის – ავტ.) მთელი მხარე, მის გარშემო მდებარე ყველა გავარი (ოლქი – ავტ.) და ქრისტიანთა სამოც ათასზე მეტი კომლი“ (თოვმა მენოფეცი). სავარაუდოდ, საქართველოს სამეფოს შემოუერთდა ამბერდსა და სივნიეთს შორის მდებარე ბიჯნისიც.

სომხური მიწების შემოერთებასთან ერთად, ალექსან-

დრემ „მოხარკე-ჰყვანა რანი, მოვაკანი და შარვანი“. საქართველოს მეფეს დარუბანდელიც ყმობდნენ.

ამრიგად, დროებით კვლავ აღსდგა ბაგრატიონთა კავკასიური სახელმწიფო; თუმცა არა დიდი ხნით. შიდა აშლილობამ და გარეშე მტერთა თარეშმა (XV ს-ის 50-70-იან წწ.) საქართველოს სამეფოს ჯერ ყმადნაფიცი ქვეყნები, შემდეგ კი, სომხური მიწებიც ჩამოაცილა.

ზაზა აბაშიძე

გაგრძელება მომდევნო ნომერში

# ...შურსა და სილზე აგაღლეხული...

გაზეთი „იმედი“, 2 მაისი, 1996 წელი

## სახეზა რწმენისა და „მითრიდატე“

„იყო მხოლოდ მზე... მზე და ზღვა... და ისე ჩანდა, თითქოს ზღვა აღწევდა მზემდე“ – ეს მარტოოდენ პეიზაჟის სურათი არ არის, რითაც ლევან გოთუას „მითრიდატე“ იწყება: მზე და ზღვა აქ უსაზღვროებისა და იდუმალების განცდას ბადებს, თითქოს პირველქმნილებიდან მათი გამოცალკევების კოსმოგონიურ აქტს შევყურებდეთ; და მითოსის კვალი, ძველი ეპოსებივით, აქაც ორიოდ სტრიქონში იყოს ჩანწეხილი.

ხილვის უამია.

ამ განცდის სიმძაფრისთვისაა მოშველიებული ეპიკური სიმბოლიკა და ჯერ მზე და ზღვა წარმოისახება გამირთავმირისა თუ ღვთაების ხატად, რათა ამ მხატვრულ-მითოსური იერით შეიმოსოს კლდოვან ნაპირზე აშოტილი ქვაკაცა: როგორც მზისა და ზღვის ნატეხი, ამაღლებული ხილვის ხელშესახები დანატოვარი.

„შენ ხომ არ იცი, როგორ მიშველეო“, – ჯერ სალამიც არ ეთქვა, ვილისიდან არც კი გადმოსულიყო, მხოლოდ ფეხი ჩამოედგა და უკვე ამას იძახდა – „ხომ არც იცი, როგორ გამახარეო“.

მამაჩემი ჭიშკართან გაეგება და შემოიპატიჟა.

იმან კი: „ვაითუ შევრჩე, რამე გადაიცვი და ჩაჯექი, ახლავე უნდა წავიდეთო“.


მამა გაოცდა: „ცუდი ამბავი არ უნდა იყოს, ისეთი სახე გაქვს, და სად გვეჩქარება, ბარემ მოსული ხარ და შემოდიო“.

ის თავისაზე იდგა: „არა, უნდა წამოხვიდე, გზაში აგისხნი, შენ ხომ არც იცი, როგორ მიშველეო“.

მამამ: „თუ ასე აუცილებელია, რას ვიზამ, მაგრამ ცოტახანს მაინც შემოსულიყავიო“.

იმან, ეზოში შემოსულმა – „აქა მშვიდობაო“ – და ხელში ამიტაცა: „ეს რამხელა ვაჟკაცი გყოლიაო“. მე ერთი გავსხმარტალდი მის მკლავებში და მხრებზე მოვებლაუჭე. არ მიგრძენია, როგორ შეუქანდა და ლამის ჩამოემზღვლა მხრები, როგორ გაუფრიალდა ბეჭები, ნანამები, ნატანჯი, ციხე-კატორღამი უღვთოდ ნაგვემი მხრები და ბეჭები; მამამ იგრძნო და შეეშველა, მიწაზე ჩამომსვა.

რომანში „ამაღლება“, ალბათ, ამ ნუთებიტაცაა შთაგონებული ის სცენა, ვერტმფრენიდან გადმოსული ლევან გოთუა (იგი თავისი სახელითა და ბიოგრაფიითაა



წარმოსახული პერსონაჟად) პატარა ბიჭს ხელში რომ აიტაცებს და ის კი სხმარტალებს, ჭყლოპინებს, მხრებზე ეკიდება, ვერტმფრენისაკენ მიიწევს. ლევანის ნატანჯი მხარ-ბეჭი ლამის ველარ უძლებს ამ სხმარტალსა და მხრებზე კონწიალს, და ბედად იქვე მდგარი ნესტანი ჩამოართმევს ბავშვს.

მე უკვე მიწაზე ვიდექი, მაგრამ უცნობ ძიას ხელი არ მოუცილებია, ჩემს კეფაზე ედო და მამაჩემს აჩქარებდა, „ერთი სული მაქვს, ერთად როდის შევხედავთო“. მე კი ისე გავტრუნულიყავი, რადგან ხელიდან რალაც სხვაგვარი სითბო მეღვრებოდა სხეულში, და ძალიან, ძალიან არ მიწოდდა, რომ ასე მალე გამქრალიყო ეს განცდა.

დედაჩემმა სახელდახელო სუფრა მაინც გააწყო იქვე, მუხის ჩრდილქვეშ.

ძია ლევანი ილოცებოდა და თან მამაჩემს უხსნიდა: „აქ დარჩენას რა სჯობს, მაგრამ სხვა დროს იყოს... ვიცი, არ გამამტყუნებ, როცა მიზეზს გაიგებ. უფლისციხეში მიმყავხარ. აბა, რა გგონია, ის წერილი რომ დაბეჭდე,

თურმე ამას ველოდებოდი, ყველაფერი მოფიქრებული მქონდა, მაგრამ რითი დამეწყო, კომპოზიციური ღერძი რა უნდა ყოფილიყო, ვერა და ვერ მიმეგნო... ფიქრმა გამანამა... ახლა უკვე ვიცი... მას უფლის კერპი, არა? კლდეში გამოკვეთილი სახება! ძალიანაც კარგი, უკვე ვიცი: ამითი ვინყებ, ოლონდ ჩემი თვალით უნდა შევხედო, იქ უნდა ვიდგე“.

„ფლობერივით გინდა განიცადო“: მამაჩემმა.

„სხვაგვარად არ იქნება... ნავიდეთ, რა! ხვალიდანვე დავინყებ წერას. ერთი სული მაქვს... ვერ წარმოიდგენ, როგორ მიშველე...“

ეს ყოველივე ფრაზებად დამამახსოვრდა, თორემ მაშინ ვერაფრით მივხვდებოდი, ასე რას გაეხარებინა, ასე ჩემსავით რას აეფოფინებინა ეს კეთილი ძია, ვინც თურმე უცნობი არ ყოფილა ჩემთვის: ეს ის ლევან გოთუა იყო, ვისი სახელიც ხშირად მსმენოდა და ვისი „ხანძთის ზარიც“ ერთ-ერთი იმ მოთხრობათაგანი გახლდათ, რომელთაც მამა ჯერ კიდევ მაშინ მიკითხავდა, სანამ წერა-კითხვას ვისწავლიდი.

როგორი სუნთქვაშეკრული ვისმენდი გრიგოლ მცირეს უღვთო წამების ამბავს. მის გაუტყეხლობას ტირილი არ უხდებოდა და გულშივე ვიბრუნებდი მონოლილ ცრემლებს. და გული გრძნობდა ხანძთის ზარის შორეულსა და ფარულ რეკვას.

ეს გრძნობა ერთბაშად დაძრულიყო თვითონ შემოქმედის ხილვისას და მისი ხელის რალაცნარი სითბოც უფრო მკაფიოს ხდიდა იმ შორეულ რეკვას.

ლევან გოთუა ერთხელ კიდევ მომეფერა კეფაზე, ვიდრე ვილისში ჩასხდებოდნენ, ჩქარობდა კლდეში ნაკვეთი სახების ხილვას. მეორე დღესვე „მითრიდატეს“ უნდა ჩაჯდომოდა.

ეს სახება პირველად გორელმა მხატვარმა ვალიკო არჩუაძემ შენიშნა: კლდეში მკაფიოდ გამოკვეთილი გიგანტური პროფილი. არა, თვალი არ ატყუებდა, მართლა პროფილი იყო: აგერ შუბლი, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი, თვალიც აშკარად ეტყობოდა, ყურიც, თმაც... მაშინვე გადმოხტა და მამაჩემს ახარა: ნახე, უფლისციხეში რას მივაგენი, სტილიზების ბრალი არ გეგონოს, სინამდვილეშიც ასეთია, წამო, გიჩვენოო. მამა ძალიან დაინტერესებულა, რამდენჯერ ვარ იქ ნამყოფი და ასეთი არაფერი შემინიშნავსო, – და აღარც დაუხანებიათ. და საგანგებოდ შერჩეული ადგილიდან კლდეკაცის სილუეტი რომ უხილავს, ვარაუდი გამოუთქვამს: ეს წარმართული ღვთაების კერპი ხომ არ არისო. რა გასაკვირია, ასე რომ ყოფილიყო, უფლისციხეს – ამ უძველეს ქალაქს, რომლის სიცოცხლის პირველი ნიშნებიც, სულ ცოტა, სამი ათასი წლის წინანდელია – ხელშესახებად შემოენახა წარმართული აზროვნების კვალი.

ასსოვდა ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები – „გამოსულ იხილვების სპა-ლაშქარნი შუბოსან-მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშქრებულნი, ნიშნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს“. – და თუმც ვახუშტი მისნობას მიაწერს უძველეს თქმულებებს, მაგრამ თქმულებანი აკი არასოდეს ყოფილა უსაფუძვლონი. ძლიერი ქალაქი ლაშქარმრავალიც იქნებოდა, მაგრამ ეს ხილვა როდია, არამედ სინამდვილე, ხილვა სხვა რალაცას უნდა გამოენჯია, შთაგონებული სხვა რალაც უნდა ყოფილიყო, ღვთაებრივი, იდუმალი და სახიერი. და თუმც საოცარ-

რი ფანტაზია ჰქონდა უძველეს ადამიანს, უფლისციხის ქვაბულებიდან ვერ ამოვიდოდა დიადი ხილვანი, ზემოთ უნდა ყოფილიყო რალაც ისეთი, რომელსაც უნდა ელაპლაპა მზეში, ექათქათა მთვარიანში, ხოლო ელვის დროს გადახსნილიყო სასწაულადა... და კიდევ აღმართულიყო უფლის სახება...

ეს ფიქრი მალევე ჩამოაყალიბა სტატიაში „კერპი უფლისა“, რომელიც ვალიკო არჩუაძის ნახატს დაურთო და ასე გამოაქვეყნა „ლიტერატურული საქართველოს“ 1967 წლის 16 ივნისის ნომერში.

ამ ვარაუდსა და კლდეკაცის სახებას ალფერთოვანებიან ლევან გოთუა.

ვერ და ვერ ეპოვნა მითრიდატეს რწმენის სათავე, ვერც კომპოზიციური ქარგა:ემთელი რომანი გააზრებულ ჰქონდა, მაგრამ სადღაც შუიდან ხომ ვერ დაინყებდა, პირველი სურათი, პირველი ფრაზები კი არა და არ ჩანდა. არადა, ისეთი დრამატული და სიმბოლური ქარგა უნდოდა, „გმირთა ვარამი“ რომ მიეგნო და ეს ამხელა რომანი ამ ქარგის სიმკვრივეზე ამოეშენებინა: ნათლობის ემბაზი და მისი შებლაღვა – აი, ამ მტკიცე კომპოზიციის ირგვლივ ტრიალებდა უამრავი ამბავი და შენაკადი და ამიტომაც არ გასხლტომია ხელიდან თხრობის მდინარე, და ამ ურთულესი ეპოქის ტრაგიზმი ამიტომაც გამოიხატა ასეთი სიმძაფრითა და შთამბეჭდაობით.

„მითრიდატეც“ ვეება სარბიელს გულისხმობდა, ტრაგიზმით აღსავსე ურთულეს ეპოქას; და თუ არა მტკიცე კომპოზიციური ქარგის დრამატულობა და ღრმა სიმბოლიკა, შესაძლოა გაძნელებოდა ამბავთა თავმოყრა და მთელი ეპოქის გამოსახვა.

დანყება საერთოდ ყოველთვის საოცრად ჭირს ხოლმე – თომას მანი აღნიშნავს „იოსებისა და მისი ძმებისადმი – საიდან არ უნდა უტრიალო მასალას, რამდენი შრომა გასწიო, რამდენი დრო დახარჯო, რომ შეეჩვიო საგანს და გაითავისო, შეითვისო მისი ენა და ამ ენაზე ალაპარაკდეო; და მსჯელობის ამ ფონზე უფრო თვალსაჩინოდ გამოჰკვეთს შორეული ეპოქის მხატვრულად გააზრების სირთულეს, მიახლოებას იდუმალ, მითიურ, პირველქმნილ სამყაროსთან. ამ ხატოვან შედარებასაც იშველიებს: კარგახანს იმ ანდაზის კატას ვგავდი, დრუნჩის ლოკვა-ლოკვით გარს რომ უფლის ცხელი რძით სასე ლამბაქსო.

ამ განსაკუთრებული სირთულის წინაშე იდგა ლევან გოთუა.

და, აი, მოულოდნელად ჩაუვარდა ხელთ კლდეკაცის გიგანტური სახება, რაც გადამწყვეტი ბიძგი აღმოჩნდა მისი შთაგონებისათვის. ქარგას ძებნა აღარ უნდოდა: დრამატული ქარგაც ეს იყო და ღრმა სიმბოლური სურათიც – ეს კლდეკაცი, ოდინდელი და მარადი დიდებისა და დაუმცხრალი იმედოვნების ამალღებული ნიშანსვეტი, რომლის ირგვლივაც უნდა დატრიალებულიყო ბედისწერა პონტოს სახელმწიფოსა და მითრიდატესი: ერთმანეთზე გადაჭდობილი.

ოლონდ ვერც ნახატი და ვერც სტატია მის წარმოსახვასა და ფიქრში იმ ძალით ვერ აღბეჭდავდა კლდეკაცის სახებას, რასაც უშუალო ხილვა განაცდევინებდა. რაკი სტატიაში მიაგნებინა „მითრიდატეს“ კომპოზიციურ ქარგას, მამაჩემთან ერთად ამიტომაც მოინდომა უფლისციხის მონახულება. უფლისციხე გორამდია, ჩემი სოფელი

– გორს იქით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოდნავადაც ვერ სძლევდა ცდუნება კლდეში ნაკვეთი ქალაქის ჩავლისას: მარტოკა ხილვას ამ შემთხვევაში რალაც დააკლდებოდა.

გორში ვალიკო არჩუაძესაც გაუარეს და ასე მიადგნენ უფლისციხეს.

იქ დიდი გამოცოცხლება დახვედრიათ: იქით არქეოლოგები ტრიალებდნენ, ისედაც შედგომოდნენ ამ უძველესი ქალაქის განმენდა-გასუფთავებასა და გათხრას და ახლა უფრო გაეცხოველებინათ მონდომება – ის წერილი მაშინ ერთბაშად გახმაურდა; აქეთ ლანა ლოლობერიძე იღებდა კინოფილმ „ფერისცვალების“ ცალკეულ სცენებს; კიდევ აქეთ მნახველები ტრიალებდნენ. კლდეში გამოკვეთილი არქიტექტურული ანსამბლი ყველამ იცოდა და ბევრს გულდასმითაც ჰქონდა შემოვლილი, მაგრამ კერპის არსებობა არავის სმენოდა და ახლა მის ნახვას ეშურებოდნენ. ხელში გაზეთი ეჭირათ, ნახატს უკვირდებოდნენ და იმ ადგილს არჩევდნენ, საიდანაც ყველაზე უკეთ ჩანდა კერპის სახება.

ეს სამნიც ამ გამოსახულებას მიაჩერდნენ.

მათ არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსი თინა ქარუმიძე მიახლოებით: ახლა რომ ვუყურებთ, ეს მართლა უფლის სახებას გვაგონებს, მაგრამ უძველესი კერპის ნაშთი არ უნდა იყოსო. გაზეთში ნახატი და წერილი რომ გამოქვეყნდა, დავინტერესდი და საგანგებოდ ვეძიე უფლისციხის ადრინდელი სურათები, მაშინ როგორ გამოიყურებოდა ეს მხარე, და XIX საუკუნის მიწურულის სურათზე ეს გამოსახულება სრულიად არა ჩანს: კლდე მთლიანია; მერე, ეტყობა, თანდათან ჩამოიმტვრა და რალაცნაირი შემთხვევითობით დაემგვანა კერპს მიმსგავსებულ კონტურსო. იმ წერილზე გამომხაურებას ვაპირებ და იმ ადრინდელ ფოტოსურათსაც დავურთავო.

მხატვარს არაფრის გაგონება არ უნდოდა: რა ჩამომტვრევა, რომელი ჩამომტვრევა, როგორ შეიძლება ჩამონამტვრევი ასე თვალსაჩინოდ დაემგვანოს კერპის გამოსახულებასო.

მამაჩემს არ დაუჭინია: აუცილებლად გავეცნობი თქვენს გამოხმაურებას. კლდის ეს მოხაზულობა თავისთავად იწვევს უფლის კერპის ასოციაციას, მითუმეტეს, რომ ასეთი კერპი აქ სადღაც უთუოდ იდგებოდა... ყოველ შემთხვევაში, რადგანაც ფოტოსურათი არ ადასტურებს, რას ვიზამთო.

ახლა გინდ დადასტურდეს და გინდ არაო – ლევან გოთუამ – რომანისათვის ამას რა მნიშვნელობა აქვს, ქარგა უკვე ნაპოვანიაო. ასეთი სახება ხომ შეიძლება ოდესმე მართლა არსებულებო, და თუ არ არსებობდა, წარმოსახვას გადავაქცევ მძლეთამძლე ვაჟკაცის კლდექანდაკად, სულაც ძველ კაპადოკიაში, ზღვის პირას უნდა აღვმართო ეს სიმბოლური ხატება: მითრიდატე იქიდან დაიწყებს თავის ფარულ მოგზაურობას და აქამდე მოაწევს – უფლისციხის ხილვა დაავგირგვინებს მისი მოგზაურობის დიად მიზანსო.

შეჰყურებდა თვალმოუცილებლად, დაჟინებით, შემოაღამდათ, მაგრამ ისევ ისე იდგა გახვევებული, შეჰყურებდა და თავის წარმოსახვებში ჩაფლულიყო.

რამდენიმე წლის წინათ ციხეგოჯის ძველთაძველ ნანგრევთა შორის მოელანდა მითრიდატეს აჩრდილი: ვეება ტანის, მეტყველი თვალ-სახისა და უთვალავჭრი-

ლობიანი. და მას მერე განუშორებლად ელანდებოდა. ძველი ნანგრევებიდან ხელნაწერშიც გადმოსახლდა ძველი სამყაროს გმირთა გმირი და მისი უკანასკნელი ჭრილობიდან ორი ათასზე მეტი წლის მერე ლევან გოთუამ მოვლო სპერის ზღვიანეთი, სარფიდან დიოსკურიამდე. უფრო შორსაც – ყირიმში – მითრიდატეს მთამდე ააკითხა ჩვენს ანტიკურ ძეგლებს, მითრიდატეს მონმეებსა და თანამედროვეებს.

„ჰოი, რა დიდი ანტიკური სამყარო გვექონიაო“, – განცვიფრება და აღტაცება ვერ დაეფარა – „ჩვენ კი საშუალო საუკუნეთა, თავისთავად დიდებულ ძეგლთა მიღმა ველარ ვხედავთ უფრო ძველსა და უფრო მინაში ჩათხრილ საფუძვლებს!.. ჰოი, ჯერ კიდევ რამდენი საქართველო გვექონია „აღმოსაჩინი“!.. და „მითრიდატეს საქართველო“ – უპირველეს ყოვლისაო!“

უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ეს ეპოქა მიაჩნდა პირველ და უდიდეს გამოსვლად ქართული სამყაროსი მსოფლიო ასპარეზზე. მისმა საბოლოო დამარცხებამ ჩვენ კარგა ხნით გამოგვადგო დიდი ისტორიიდან, მსოფლიოს კი რამდენიმე საუკუნით რომის შავი მონობის ფარდა ჩამოეფარაო.

ახლა უფლისციხეც კიდევ ერთ აღმოჩენად გადაქცეულიყო, ციხეგოჯის ნანგრევებში მოვლენილი უღრმესი შთაბეჭდილება და განცდა რომ უნდა დაებოლოვებინა: სულის მდულარება მხატვრულ ძეგლად ჩამოექნა.

ამიტომაც იდგა ლევან გოთუა გახვევებული და თავის წარმოსახვებში ჩაფლული.

მის ფიქრთა და ფანტაზიის გაქანება მამას ასე წარმოუდგა: თითქოს კლდეკაცი სივრცეს მიაპობდა და მთელს პლანეტასაც მიაქანებდა, მიცურავდა ჭახჭახა ვარსკვლავებში, მიატანებდა და მიაპობდა შორეულ პლანეტებსაც.

აი, მითრიდატე, აი, რწმენა მითრიდატესი: ბუტბუტებდა ლევან გოთუა.

ასეთ უსაზღვროებად განიცადა კლდეკაცის სახებაში შენივთებული უფლისციხე, როგორც დაცემული სულიერების ამამალღებელი რწმენა. და ამ უსაზღვროების ფონზე ამიტომ სახიერდება რომანში ქვაკაციც – უფლისციხით შთაგონებული ხილვა – რათა სიმბოლიკა შთამბეჭდავი და შინაგანი ენერგიით აღვსილი ყოფილიყო: მზე ამიტომაც დასდგომია შარავანდედად, ზღვის წიაღიდან ამიტომაც ამოზრდილა. აკი ერთი გაელვება ისეთია, თვით მზე და ზღვა ამ რწმენის, მძლეთამძლე ვაჟკაცის სიმბოლური ხატი: მზე, ოქროსმუზარადიან თავად ჩამონაკეთულა, ზღვა კი სხივფერა აბჯარში ჩამჯდარ სხეულად. და ეს წამები ხილვის უსაზღვროებისა და ზეცამდე ატყორცნისა ერთბაშად გადაიკარებს და კლდეკაცის სახეში შენივთდება.


ეს კლდესახეა ის უსაზღვროება.

ის აღვივებს რწმენასა და დაუმცხრალ იმედოვნებას.

უჩვეულო იდუმალეებითაც ამიტომ შემოსილა: ქვაკაცა არ არის ღმერთის გამოსახულება, თუმც ზღვისპირეთის ქართველობა და ქართველური ტომები კერპებად რაცხავენ და ყველას – სპერთა თვისტომსა თუ უცხოს – სწამს ქვაკაცათა იდუმალი ძალა და ზეგარდმო წარმომავლობა.

როსტომ ჩხვიძე

# აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი




აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი

2019 წლის 26 ნოემბერს ბატონ სიმონ ხეჩინაშვილის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა: მოვიგონოთ!

ბატონ სიმონს ყველაზე მეტად, ალბათ, შემდეგი ეპითეტი მიესადაგება: ის ძალიან ჭკვიანი კაცი იყო! ჭკვიანობა არა მარტო მეცნიერებაში თუ პრაქტიკულ საქმიანობაში არის მნიშვნელოვანი. ჭკვიანობა აუცილებელია, იყო სამშობლოს ერთგული, ოჯახის ერთგული, მეგობრის ერთგული, ადეკვატურად ერკვეოდე სიტუაციებში, ურთიერთობებში, ადამიანებში, პოლიტიკაში, იუმორში... ჭკვიანობის გამო, ყოველივე ამას ბატონი სიმონი შესანიშნავად ფლობდა. მე მქონდა ბედნიერება, უშუალო, მჭიდრო და ხანგრძლივი კავშირი მქონოდა ძალიან ჭკვიან ბატონ სიმონთან. წლების განმავლობაში ჩემი ყოველდღიური საქმიანობა ტელეფონზე გამოძახებებით და ბატონი სიმონის კაბინეტში 10-15 წუთიანი საუბრებით იწყებოდა. სამსახურისა და მეცნიერების პრობლემების გარდა, ვმსჯელობდით ლიტერატურაზე, პერიოდიკაზე, პოლიტიკაზე, პიროვნებებზე... მაშინ როგორ გავბედავდი, მეფიქრა, ახლა კი ვთვლი – ბატონი სიმონი არა მარტო შეფობდა, მეგობრობდა კიდევ ჩემთან. სადოქტრო დისერტაცია სანკტ-პეტერბურგში, მაშინდელ ლენინგრადში დავიცავი – ბატონი სიმონი ჩემს გვერდზე იყო, ჯანმრთელობის კრიტიკული მდგომარეობის გამო მოსკოვში მომიწია ოპერაციის გასაკეთებლად წასვლა – ბატონი სიმონი საოპერაციოშიც ჩემს გვერდზე დადგა. ისევ ვბედავ და ისევ ვფიქრობ: ბატონი სიმონი არა მარტო შეფობდა, მეგობრობდა კიდევ ჩემთან!

ბატონი სიმონის წყალობით, საქართველოს აუდიოლოგიას იმთავითვე ევროპული ორიენტაცია ჰქონდა, ანუ არანაირად არ იყო საბჭოთა მიმართულებისა: ამის დასტური თუნდაც ისაა, რომ აუდიოლოგიის ცენტრში შესრულებული 396 ნაშრომიდან 187 ანუ 47% ანუ პრაქტიკულად ნახევარი ინგლისურ ანუ საერთაშორისო

სო სამეცნიერო ენაზე არის შესრულებული და გამოქვეყნებული. დანარჩენი ნახევარი დაახლოებით თანაბარი პროპორციით ქართულ, გერმანულ, რუსულ ენებზე ნაწილდება. ბევრი ნაშრომი ცენტრალურ საერთაშორისო გამოცემებში არის წარმოდგენილი, მაგალითად, ჟურნალებში: *Minerva Otorinolaryngologica*, *Natura (London)*, *Archives of Oto-Rhino-Laryngology*, *Scandinavian Audiology*, *Electroencephalography and Clinical Neurophysiology*, *American Journal of Otolaryngology*, *HNO*, *HNO-Praxis*, *HNO Informationen*, *HÖRaspekte*, *Acta Neurologica Scandinavica*, *European Journal of Neurology*, *Issues of Theoretical and Clinical Medicine*, *Science and Education*, *Experimental and Clinical Medicine*, *Epilepsia*, *Epilepsy Europe*, *British Journal of Audiology*, *Acta Otorinolaryngologica & Phoniatria*, *European Archives of ORL*, *Head and Neck Surgery*, *Laryngo-Rhino-Otology*, *Ear and Hearing*, *Hearing Research*, *Schnecke*, *Journal of Hearing Science*. აუდიოლოგიის ცენტრის ასევე დასავლური ორიენტაციის ნიშანია საზღვარგარეთის სპეციალისტების რეგულარული და ხანგრძლივი ვიზიტები ჩვენთან, ერთობლივი გამოკვლევების ჩატარება, ერთობლივი ნაშრომების შესრულება, ვიზიტორების მიერ სადისერტაციო მასალის თბილისში მოპოვება და ა.შ. ჩვენც რეგულარულად და ხანგრძლივი დროით ვსტუმრობდით დასავლეთს, მეტწილად გერმანიას – მაგდებურგს, დრეზდენს, ბერლინს, ერლანგენს, ჰალეს, მიუნხენს, ერფურტს... ბატონი სიმონის ჩართულობით უცხოელებთან 144 ნაშრომი მაქვს შესრულებული: 127 – გერმანიის, სხვა 17 – აშშ-ის, ლიტვის, უკრაინის, რუ-



სხვადასხვა ქვეყნის ოტორინოლარინგოლოგებს და აუდიოლოგებს ჰქონდათ ტრადიცია, ერთმანეთისთვის ახალი წლის დადგომა მიელოცათ. სურათზე წარმოდგენილი სიმონ ხეჩინაშვილის და ზურაბ ქვეანიშვილის მილოცვა ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა მიჩნეული. აქ ეტლის მამოძრავებელ ძალად ლოკოკინა არის გამოსახული, ლოკოკინა ანუ კოხლეა კი შიგნითა ყურის რეცეპტორული აპარატის სახელწოდებაა. ნაჩვენებია, როგორ კერავს ბარაბანის დაზიანებულ აპკს სიმონ ხეჩინაშვილი. კეთდება მინიშნება დაფის აპკზე ანუ ტიმპანურ მემბრანაზე – გარეთა და შუა ყურის გამყოფ სტრუქტურაზე, რომელიც ქირურგი-ოტოლოგის ერთ-ერთ ორდინალურ საოპერაციო ობიექტს წარმოადგენს. ზურაბ ქვეანიშვილი უკრავს არფაზე, რაც აუდიოლოგიის სიმბოლოზე მიანიშნებს. წარმოსახულია სიტყვების ფონეტიკურ კონტექსტთა თამაში – *Year* და *ERA*. მათგან *Year*, ცხადია, წელიწადს ნიშნავს, მასთან გარითმული *ERA* და *Electric Response Audiometry*-ს: ქართულად – აუდიომეტრია ელექტრული პასუხებით.

სეთის, ჰოლანდიის, თურქეთის სპეციალისტებთან თანავეტორობით. ერთობლივ ნაშრომთა ნახევარზე მეტი, 51%, ინგლისურ, დაახლოებითმეხუთედი, 22%, გერმანულ ენაზე არის დაბეჭდილი. გამასაშუალოებელი კომპიუტერის გამოყენებით რეგისტრირებული ადამიანის სმენის გამონვეული პოტენციალების შესახებ პირველი ნაშრომი მსოფლიოში 1967 წელს გამოქვეყნდა. ბატონი სიმონის ძალიანმევი, ადამიანის სმენის გამონვეული პოტენციალების სარეგისტრაციოდ გამასაშუალოებელი კომპიუტერი აღმოსავლეთ ევროპაში პირველად ჩვენს მიერ იყო შექმნილი და პირველად ჩვენს მიერვე იყო გამოყენებული. დასაწყისში ადამიანზე გამოკვლევებისათვის გათვალისწინებული ნორმალური გაბარიტების ელექტროეკრანირებული კაბინა არ გვექონდა. ელექტროეკრანი მხოლოდ კატეგზე ექსპერიმენტებისათვის გათვალისწინებულ მინიატურულ კაბინას გააჩნდა. მე და ოთარ ქაჯაია, ამჟამად სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ოტორინოლარინგოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, როგორც გამოკვლევის ობიექტები, რიგრიგობით მოკუნტულები ვისხედით მცირე ზომის კატისეულ სადგომში და სმენის გამონვეულ პოტენციალებს ვინერდით. ვმუშაობდით უზომოდ. შედეგად ადამიანის სმენის გამონვეული პოტენციალების შესახებ რამდენიმე ნაშრომი უკვე 1971 წელს გამოვქვეყნეთ, მათ შორის, ჟურნალში *Audiology* – პროფილის ცენტრალურ პერიოდულ გამოცემაში. შემდგომში, სმენის გამონვეული პოტენციალების შესახებ სტატიები პროფილის პრაქტიკულად ყველა ცენტრალურ საერთაშორისო გამოცემაში დავსტამებთ. ბატონ სიმონთან 45 ნაშრომის თანავეტრი ვარ. მათგან 44 სტატიაა, ერთი – 365 გვერდიანი მონოგრაფია, რომლისთვისაც ბატონ სიმონსაც და მეც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია მოგვენიჭა. ერთობლივი პუბლიკაციები სხვადასხვა პერიოდის მოიცავს, მათ შორის, ჟურნალებს: *Audiology*, *Acta Otolaryngologica (Stockholm)*, *British Journal of Audiology*, *HNO-Praxis*, *Medicine: Science and Education*. სხვათა შორის, ტვინის ღეროს სმენის პასუხი, *auditory brainstem response*, *ABR*, რომელმაც მართლაც რომ რევოლუცია მოახდინა თეორიულ და კლინიკურ აუდიოლოგიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კერძოდ, ცნობილი აუდიოლოგის, პროფესორ *Wolf Dieter Keidel*-ის ინსტიტუტში პროფესორ *Eduard David*-თან ერთად პირველად ჩემს მიერ იყო დარეგისტრირებული 1971 წელს. ფედერაციულ გერმანიაში მივლინება საბჭოთა კავშირიდან იშვიათი და რთული რამ იყო. ჩემი ვიზიტი იქ მხოლოდ ბატონი სიმონის დიდი ძალისხმევით და დახმარებით შედგა. სხვათა შორის, ამისათვის საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში მომიწია გასაუბრების ფილტრის გავლა. მტკიცე ევროპული და არა საბჭოთა ორიენტაციის გამო, აუდიოლოგიის ცენტრის თანამშრომლებს არანაირად არ გვაქვს ნოსტალგია საბჭოთა



საახალწლო მილოცვის ერთ-ერთი ფორმა გერმანული, კერძოდ, ბერლინის, ერფურტის, მაგდებურგის, საქსონიის, ჰალეს ოტორინოლარინგოლოგიურ დანესებულებათა ხელმძღვანელებთან, რომლებთანაც სიმონ ხეჩინაშვილის კლინიკას მჭიდრო კავშირები ჰქონდა. წარმოდგენილია სიტყვების თამაში: *BER-lin*-ში ანუ ბერ-ლინში ანუ ბერლინში – *BER*-ი *Brainstem Electric Response*-ს ანუ ტვინის ღეროს ელექტრულ პასუხებს ნიშნავს; *ERA-furt*-ში ანუ *ერა-ფურტში* ანუ *ერფურტში* – *ERA*-ში *Electric Response Audiometry* ანუ ელექტრული პასუხებით აუდიომეტრია იგულისხმება; *Frei-Specht-ERA-KLUBA*-ში ანუ *ფრაი-შპეხტ-ერა-კლუბაში* მინიშნებული არიან *ERA*-ში ანუ ელექტრული პასუხებით აუდიომეტრიაში ჩართული მაგდებურგელი აუდიოლოგები – *Freigang*-ი, *Specht*-ი და *Kluba*, ამასთან ამ უკანასკნელთან *Klub* ანუ კლუბი ასოცირდება: *ფრაიგანგის*, *შპეხტის ERA* კლუბი; *Saxoniens* ანუ საქსონიელი აუდიოლოგები იუმორით *Sex-oniens*-ებად ანუ *სექს-ონიელებად* არიან მოხსენიებული. *Halle*-ს ანუ ჰალეს ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკის ხელმძღვანელს რითმაში *Hallo* ანუ *ჰელოუ* მისალმება ეგზავნება; *Inter-ERA* გრაფის ფარგლებში ინტერნაციონალური ანუ საერთაშორისო მასშტაბის არაგერმანულ ოტორინოლარინგოლოგთა-აუდიოლოგთა ჯგუფი არის წარმოდგენილი.

კავშირზე, რასაც, ჩემი დაკვირვებით, ბევრი მეცნიერი თუ სპორტსმენი, მხატვარი თუ მომღერალი, მსახიობი თუ რეჟისორი ატარებს ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ჩვენთან. ბევრი მათგანი სწორედ საბჭოთა კავშირში და არა ევროპასა თუ მსოფლიოში იყო პოპულარული. ბევრი მათგანი სწორედ საბჭოთა კავშირში და არა ევროპაში თუ მსოფლიოში პოპულარულად საკუთარ შემოქმედებით რეალიზაციას. სწორედ ამით აიხსნება მათი თუნდაც ქვეცნობიერი რეტრო-ლტოლოგები. ბატონი სიმონის დიდი დამსახურებით, აუდიოლოგიის ცენტრის მეცნიერული თუ პრაქტიკული ორიენტაცია ყოველთვის ევროპული იყო და ამჟამადაც მტკიცედ ევროპულია. ობიექტური აუდიომეტრიის სფეროში ბატონი სიმონის დაარსებული ქართული აუდიოლოგიური სკოლის ძალისხმევა რომ არ ყოფილიყო წარმატებული, კოსლეარული იმპლანტაციის პროგრამაც არ იქნებოდა, დიდი ალბათობით, ესოდენ მაღალ დონეზე საქართველოში. ბატონი სიმონის მიერ ორგანიზებული ქართული აუდიოლოგიური სკოლის საერთაშორისო ურთიერთობები, კერძოდ, ცენტრალურ ინგლისურენოვან პერიოდიკაში გამოქვეყნებულ ნაშრომთა რიცხვი და ხარისხი, გერმანულ სპეციალისტებთან კავშირები რომ არ ყოფილიყო



სიმონ ხეჩინაშვილი და ზურაბ ქვეციანიშვილი გერმანიის ქალაქ ჰალეში, სადაც სისტემატურად ინვესტირებენ მათ რეგულარულ საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად. მაღალი დონის პროფესიონალობის გარდა, ბატონი სიმონი, ქართულთან ერთად, სრულად ფლობდა გერმანულს, ინგლისურს, ფრანგულს, რუსულს. ამიტომ ის, როგორც წესი, ჰალეს სიმპოზიუმების ერთ-ერთი თავმჯდომარე იყო.

შთამბეჭდავი, სასმენი აპარატების გერმანული კომპანიის *კინდ-ჰორგერეტეს* დამფუძნებელი და მმართველი ბატონი მარტინ კინდი, დიდი ალბათობით, დაწესებულების წარმომადგენლობას არ გახსნიდა თბილისში, ამასთან საქართველოში, სხვა ქვეყნებთან, მათ შორის გერმანიასთანაც შედარებით, სასმენ აპარატებზე მნიშვნელოვნად უფრო დაბალ ფასებს არ დაანესებდა. მე არ ვფლობ ინფორმაციას, ვინ დააფუძნა მხედველობადარღვეულთა ვიზუალური რეჰაბილიტაციისათვის სათვალეების ინსტიტუტი საქართველოში, ის კი ვიცი, რომ სმენადაქვეითებულთათვის განკუთვნილი სასმენი აპარატების დანერგვა ჩვენთან ბატონი სიმონის მიერ დაარსებული ქართული აუდიოლოგიური სკოლის დამსახურებაა. საამაყოა, რომ *კინდ-სმენას* – სასმენი აპარატების გერმანულ წარმომადგენლობას თბილისში – ბაქოში და კიევში აქვს ამჟამად ფილიალები გახსნილი.

*ზურაბ ქვეციანიშვილი*

*აუდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი*

# პირველი ჟურნალი გურულაებზე



დაინტერესებულ მკითხველებს მთავარობით ჟურნალის გამოწერას  
 დაგვიკავშირდით 558 25 65 50

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციამ გამორჩეული პიროვნების, საქართველოში მეცნიერული ოტორინოლარინგოლოგიის და აუდიოლოგიის ფუძემდებლის, აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილის, ერთ-ერთი საპატიო თბილისელის, დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია გამართა







# საუკუნის აღაპიანი



ჩემი თბილისი და ფიროსმანი ნეტავი ასე რამ შემეყვარა

გიგა ბათიაშვილი


გიგა ბათიაშვილი – ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის აკადემიის, საქართველოს საინჟინრო და სხვა აკადემიების აკადემიკოსი, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის, სსრ კავშირის სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაურეატი, პროფესორი, დოქტორი. 2012 წელს პუბლიცისტურმა ენციკლოპედიამ მიანიჭა საუკუნის ადამიანის წოდება. 2019 წელს დაჯილდოვდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ბრწყინვალეების ორდენით. სამეცნიერო კვლევის ავტორი ქალაქმშენებლობის სფეროში – ძირითადი პრობლემა – ისტორიული ქალაქების ქალაქმშენებლობითი ფენომენი. ავტორი ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის ქალაქმშენებლობითი პროგრამის. ამ პროგრამით ასზე მეტი საავტორო პროექტია განხორციელებული, ნაწილი განხორციელების პროცესშია. როგორც მხატვარი, ავტორია ოთხი კინოფილმის. მონაწილე მრავალი საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია-სიმპოზიუმ-სემინარის. მისი ნამუშევრები ექსპონირებული იყო თბილისში, მოსკოვში, პარიზში, ბრაიტონში, ბერლინში, დელიში, ბომბეში, ჰანოიში, საიგონში, სოფიაში, ლოს-ანჯელესში, ვოშინგტონსა და სხვა ქალაქებში. ამჟამად სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში. გახლავთ სრული პროფესორი.

P.S ბატონი გიგა მკურნალ ბიჭიკო ასკურავას წიგნზე მუშაობის დროს გავიცანი. მოვიხიბლე მისი თავმდაბლობით, გულთბილი და უშუალო საუბრით, – არ არის საჭირო ჩემი რეგალიების ჩამოთვლა. წიგნში არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი მიუთითებ. მისი თქმით, XX-XXI საუკუნეებს ჰყავს გამორჩეული ადამიანები, რომლებიც ქართულ საქმეს ემსახურებიან. ბიჭიკო ასკურავა სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება.

გავკადნიერდი. არქიტექტორის რეგალიები და წარმატებები ჟურნალის მკითხველებს გავაცანი. საუკუნის ადამიანი ქართულ საქმეს ემსახურება. ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის იღწვის.

ბატონო გიგა, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.

ლელა სურმავა



## გიგა ბათიაშვილის წიგნის არქიტექტურული ესკიზები, პროექტები, პუბლიცისტური წერილები, ფერწერა წარდგინება 20.XI. 2019.

ამ წიგნმა თავად დაწერა თავისი თავი...  
ეს წიგნი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების შედეგია...

ეს წიგნი აღსარებაა...  
მე კარგად მესმის გიგას. ჩვენ ერთი თაობა ვართ, ერთად განვლეთ სტუდენტობა, პროფესიული და ყოფითი ცხოვრება.

ჩინელებს ასეთი წყევლა აქვთ – გეცხოვროს გარდამავალ ხანაში.

ჩვენმა თაობამ არა თუ ერთ გარდამავალ ხანაში, არამედ გარდამავალ ხანებში იცხოვრა. ვისწავლეთ ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურა ანუ სტალინური არქიტექტურა. შემდეგ ხრუშჩოვიზმის ანტიარქიტექტურული პერიოდი. ახლა, ნამდვილ გარდამავალ ხანაში სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციაში ვცხოვრობთ.

ორ გარდამავალ პერიოდს ასე თუ ისე თავი გავართვით, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის წესებსა და დაუწერელ კანონებს ვერ შევეგუეთ. არქიტექტურა სულ დაშორდა ხელოვნებას. ქვეყანამ დაკარგა საგანძური, რომელიც პროფესიონალ თაობას უნდა მოეტანა.

განმეორდა ის, რაც 20-იანი წლების საბჭოთა ავანგარდის თაობამ იწვინა. შემოქმედებითი ძიებების შემდეგ, ვერ იგუეს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურა და ჩაიფერფლნენ. ავანგარდის ერთ-ერთი ტიტანი ივანე ლეონიძევი სხვების პროექტების მაკეტებს ასრულებდა. იაკობ ჩერნიხოვი თავის არქიტექტურულ ფანტაზიებს საპროექტო კანტორებში ჰყიდდა.

გიგა ბათიაშვილის წიგნი არის ბრძოლა ქართული არქიტექტურის მერმისისთვის.

ნაიკითხეთ მიმართვები, შეგონებები ხელისუფლების მიმართ – გულისტკივილს გამოთქვამს და ბევრ გონივრულ რეკომენდაციას სთავაზობს.

ცალკე გამოვყოთ კვლევები თბილისის განვითარებაზე, კულტურაზე, საქართველოს მისიაზე, ისტორიულ ბირთვზე და სხვ.

საუკეთესო ესკიზები, ოსტატის ხელით ნააზრევი. მადლობა ამ წიგნისთვის ბატონ გია ჯოხთაბერიძეს.

მადლობა ყველა წიგნისთვის. ბატონი გია ისევ აგრძელებს ქართული კულტურის, ხელოვნების პოპულარიზაციას და მხარდაჭერას.

მადლობა ქალბატონ მანანას და გიას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემი წიგნისთვის. როდესაც წიგნი ხელი შევაღვე, გავიფიქრე, შემიძლია ქუდი დავიხურო და მშვიდად წავიდე ამქვეყნიდან. წიგნის შექმნის ინიციატივა სწორედ გია ჯოხთაბერიძეს ეკუთვნის.

ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებ ჩემს მეგობარს, გამოჩენილ ხუროთმოძღვარს, პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს გიგა ბათიაშვილს.

არქიტექტორი ვახტანგ დავითაია

# შაბათი კლუბი, გიგა ბათიაშვილის წიგნის წარდგინება





# ქილი საუკუნო



მამუკა სალუქვაძე

წელი წელს მისდევს, საუკუნე საუკუნეებს და ძვირფასი საფლავებით მუდამდღე იფინება ჩვენი სასაფლაოები... ახვევიათ ამ საფლავებს სამარადისო ძილი და არავინაა, რომ ისევ აღადგინოს მათი სხივმოსილი და მშვენიერი დიდება... მაშინ, როდესაც მხოლოდ აქ შეგვიძლია ჩავიხედოთ წარსულის სარკეში და დავინახოთ ჩვენი მეოცნებე სახე...

ყურს გვიგდებენ მიცვალებულნი დიდხანს. ძვირფასი საფლავებს ერთვით ძილი, მაგრამ ჩვენ უნდა აღვადგინოთ მათი დიდება. ვიფიქროთ იმ ხალხზე, რომლებიც აშენებდნენ ამ კედლებს, ამ სამრეკლოებს; იმ ხალხზე, XIX საუკუნეში რომ დაასაფლავეს; მათზე, რომელნიც ყოველთვის გაგვანახებდნენ, როცა წამების ჯვარს დაინახავ; დაინახავ იმ მორწმუნეებს, რომელთაც თავი დასდევს, რომელნიც მღვდელმსახურებას ასრულებდნენ თავიანთ სალოცავ ტაძრებში და მთრთოლვარე ანთებდნენ სანთლებს მშვენიერების წინ. ვიფიქროთ მათ ტანჯვაზე, მათ ცრემლებზე, ვიფიქროთ სასაფლაოზე, სადაც დამშვიდებით განისვენებენ განწირულნი, დავინწყებულნი...

ჩემი სული იღვიძებს და მზად არის ისევ აანთოს დაფარული სიამაყის სანთლები.

აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით, აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით, ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული... ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად, ოღონდ ვთქვა, თუ ლამემ სულში როგორ ჩაიხედა, თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები, და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები; თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს, თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა, სიკვდილის გზა არაა არის, ვარდისფერ გზის გარდა...

რამდენი ძვირფასი საფლავითაა მოფენილი საქართველოს ყოველი კუთხე... დამწუხრებულნი ვტირით საფლავებზე და რაც უფრო მწარედ ვტირით, მით უფრო ვგრძნობთ სიყვარულს ამ საფლავებისადმი; ისე, როგორც დატყვევებულნი ებრაელნი სტიროდნენ ბაბილონის მდინარეთა ნაპირზე, და რაც უფრო მწარედ სტიროდნენ, მით უფრო გრძნობდნენ დაკარგულ თავისუფლებას.

როდესაც ვასაფლავებთ ძვირფას თანამემამულეს, შევიკრიბებით ერთად და საფლავის წინაშე გამოთქმულ სიტყვით ფრთხილად, გაუბედავად, შეშინებულნი, გამოვთქვამთ, ვამბობთ ჩვენს გულისტკივილს...

სასაფლაოზე ძილს მოუცავს ერთმანეთს გადახვეული ჯვრები, ქვები და იასამანი.

მოვიგონოთ ხალხი, რომლებიც აშენებდნენ უზარმაზარ საშვილიშვილო სამრეკლოების დიდ კედლებს, რომლებიც რეკავდნენ ამ მაღალ სამრეკლოებზე და ფოლადის ზარებზე სჭრიდნენ თავიანთ სახელებს... მოვიგონოთ მონაშენი, რომელთაც თავი დასდევს თავიანთი სარწმუნოებისთვის, რომლებიც ღვთისმსახურებას ასრულებდნენ, თავიანთ სალოცავ ტაძრებში და მთრთოლვარე ხელით ანთებდნენ სანთლებს მშვენიერების წინ. ვიფიქროთ მათი წამების ჯვარზე, მათ ტანჯვაზე, მათ ცრემლებზე, ვიფიქროთ სასაფლაოზე, სადაც დამშვიდებით განისვენებს ამდენი წარსული, შორეული და დავინწყებული, ვიფიქროთ მათზე, რომელთაგან დარჩათ პატარა რვეულები, ბალახი სასაფლაოზე და ქვები ვინაობის ზედწარწერით.

კურთხეულ იყოს მათი სახსენებელი...

ილია ქავჭავაძე



# მინდა განვიძვარ, გათოვდეს, გზა გასხუნავდეს...



რამაზ ჩხიკვაძე

რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის თქმით, რამაზ ჩხიკვაძე როლს არა თუ ხედავდა, არამედ ისმენდა... თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში. მსახიობმა ბევრი საუკეთესო სახე შექმნა. მათ შორის მრავლად იყვნენ პოლიტიკოსები: სტალინი, ჰიტლერი, ლუდოვიკო, რიჩარდი, ლირი, ყვარყვარე. მისთვის დამახასიათებელი იყო ინდივიდუალობა, იმპროვიზაციის და გარდასახვის ოსტატობა. რამაზ ჩხიკვაძის როლები: *ლენდრო (ესპანელი მღვდელი)*, *ქოსა მრჩეველი (ჭინჭრაქა)*, *აკოფა (ხანუმა)*, *კირილე მიმინოშვილი (სამანიშვილის დედინაცვალი)*. *შოშია (საბრალდებო დასკვნა)*, *ყვარყვარე (ყვარყვარე) აზდაკი (კავკასიური ცარცის წრე)*. *რიჩარდ მესამე (რიჩარდ მესამე) და სხვ.* კონოროლები: *ლონდრე (დიამბეგი)*. *ნატერის ხე (მღვდელი)*, *ნერგები (ლუკა) და სხვ.*

**რამაზ ჩხიკვაძის ბოლო დღეები**  
**1 სექტემბერი,**  
**ხუთშაბათი, 2011.**

დარეკა თემურ ჭყონიამ:  
 – ვახტანგ, ნატაშას რამაზის საფლავის პროექტი უთხოვია, რამდენიმეჯერ უკითხავს. ალბათ, რამე სურს, მივიდეთ...  
 – სამი დღის წინ იყო, პანაშვიდის შემდეგ. სურვილებზე არაფერი უთქვამს, არც დრო იყო, არც ადგილი.  
 3 საათზე მივედი. ახალი მოყვა-

ნილი იყო პროცედურიდან.  
 – მოხვედით? რა უხერხულად ვწევარ, არც ვზივარ.  
 თემურმა მკლავებზე ხელი ამოსდო, სანოლის საზურგესთან წამოაჯინა.  
 – არ დავისვენე კაცო! მთელი ზაფხული წევამი იყავით? ალბათ, სულ დაცარიელდა სოფელი.  
 – თქვენს უბანში თითქმის არავინ დარჩა, ჩვენთან მხოლოდ ორი მოხუცია, კაცი – ნათელას ბიძაშვილი, 77 წლის, ერთიც ხანდაზმული ქალბატონი. ჭაჭიკო ხომ გახსოვს, მისი შვილი, ლიანა, ბავშობიდან თითქმის ბრმაა. ზამთარში ორივე ზესტაფონში ჩადის ნათესავთან, გამოსაზამთრებლად. ეშინიათ, ბოლო წლებში დიდთოვლობაა, წელს სამ მეტრამდე თოვლი მოვიდა, ფანჯრები არ ჩანდა.



გადავმალე წიგნი, ვაჩვენე წევამი გადაღებული ფოტოები – *პასტორალური მოტივები* – დიდხანს უყურა.  
 – რა ლამაზი ადგილებია...  
 – რამდენი გთხოვე შარშანწინ ორი დღით მაინც წამოდი. თვალი მოავლე შენი ბავშვობის ადგილებს. გითხარი, ნუ გეშინია ჩემმაში არ ივლი, სახლშია ტულეტი და აბაზანა. ღვინოც კარგი მაქვს. არა უშავს, მომავალ ზაფხულს ნავიდეთ.  
 – მომავალ ზაფხულს? – ჩაიცინა,  
 – რას ფიქრობ საფლავზე?  
 – შენ ხომ არ გსურს რამე?  
 – ისეთი არაფერი, ალბათ, რთულია ცოცხალი ადამიანის საფლავის პროექტის მომზადება. ის ჩემი საფლავიც ხომ უნდა იყოს!  
 – პირველი შემთხვევა არ არის.

თენგიზ სუხიშვილის საფლავის პროექტზე რომ ვმუშაობდი, ჩართული იყვნენ ქალბატონი ინგა, ნინო, ილიკო. ნიუანსებში ერკვეოდნენ.  
 – შორიდან ნუ მივლი, ვიცი, ჩემი საფლავიც ეგ იქნება, ასეთია ცხოვრება. თუ გაქვს იდეა, მითხარი, თემურ ახლოს მოინიე, რას ათვალე რეგულარულად უსაშველოდ?..  
 – გვირგვინის თემა მსურს გამოვიყენო. გვირგვინი რიჩარდია, მეფე ლირი თეატრი. გახსოვს, გვირგვინი ხან თავზე გქონდა ჩამოფხატული, ხან სად მოისროდი, ხან სად. გარდა ამისა რამაზ ჩხიკვაძეს ისედაც ეკუთვნის გვირგვინი.  
 – ნატაშა არ დამეკარგოს, ეს რა დამემართა.  
 – ყველაფერი კარგად იქნება, ნატაშაც ხომ თეატრის ნაწილი იყო. ისიც ხომ თეატრით ცხოვრობდა. ერთი კვირა მადროვე, მაკეტებში გაჩვენებ ვერსიებს...  
 – შენი თეა ნატაშას გადარჩენილია. გახსოვს, როცა საავადმყოფოში მოვედით, ბაქოს ქუჩაზე. დილით ადრე, ექვსი თვის ბავშვი სიცხისგან ინვოდა. რა გვარი იყო ის სიმპათიური ექიმი, პროფესორი... ღმერთო გამახსენე.  
 – ირაკლი რცხილაძე, გურამ რცხილაძის მამა.  
 – ხო, რცხილაძე. თქვა, სასწრაფოდ გვჭირდება, რალაც დეფიცითური წამალი, ბავშვი დაილუპებო. რამაზ, ჩქარა ებრაელებში, – მითხრა ნატაშამ. ნახევარ საათში წამალი მოვიტანეთ. ბავშვი გადარჩა. მერე მე თეას ნათლია გაგხდი.  
 – ყველაფერი გვახსოვს. ხშირად ვიგონებთ ამ ამბავს. იმ დილით თქ-





ვინი დახმარების გარეშე, ბავშვი დაკველუპებოდა.

- მაინტერესებს საფლავის ადგილი, საშას ვეუბნები, წამიყვანე, მაჩვენე, ალბათ, ვნახავ.

- წავედი. დასვენება გჭირდება.

- შენ და თემურმა ისადილეთ. მერე წადი.

- შენც ისადილებ ჩვენთან ერთად?..

- არა, მე არ შემიძლია დაჯდომა. აქ მომიტანენ.

- წავალ, საქმეს მივხედავ.

- მე ცოტა ხანს დავრჩები, - თქვა თემურმა. მაინტერესებს პროექტი. შევეხმთანოთ ერთმანეთს.

**8 სექტემბერი  
ხუთშაბათი, 2011.**

რამაზი ეტლში ზის აივანზე, დაპყურებს მზიურს. სიგრილეა.

- ცოტა დამაგვიანდა. მცხეთაში გავიჭედე.

- ნახევარი საათი რა დაგვიანებაა, შე კაცო. აბა, რას გვიპირებ ნატაშას და მე?

მაგიდაზე დავდე ორი მაკეტი და ფოტოები. დიდხანს უყურა. განხილვაში მთელი ოჯახი ჩაერთო.

- რომელი მოგწონს ბაბუ?

ზოგს ერთი მოსწონს, ზოგს მეორე...

- ეს მარცხენა ტრადიციულია, თუმცა განსხვავებული. კარნიზი მომწონს. გვირგვინი კედელზე იქნება, თუ ქვემოთ?

- კედელზეც შეიძლება და ქვემოთ. ამიტომ, არ არის დამაგრებული. როგორც შევთანხმდებით.

- ბარელიეფზე ხომ არ გიფიქრია? არა, არ ივარგებს. გააუბრალოებს. მეორე - ნამდვილი სცენაა, საფეხურები

რები უხდება, რას ნიშნავს დახრილი ბოძები?

- არ არის დახრილი, თავდახრილია. ყველა მნახველი თავის შინაარსს დებს. ჩემთვის მონინების, პატივისცემის ნიშანია.

- კედელზე სურო იქნება? ესკიზში სუროა, მაკეტზე არა.

- კი, კედელი სუროთი დაიფარება. ქვევს შორის სურო იქნება. მაკეტზე სუროს ჩვენებას დიდი დრო უნდა. დღეს მცხეთაში ერთი სუროთი დაფარული კედელი ვნახე. მომეწონა, გადავიღე, აბა, ნახე.

- ძალიან ლამაზია. ჯვარი უნდა იყოს, წმინდა ნინოს ჯვარი. გვირგვინს რამე დეტალი ექნება? ეს ირიბად ჩაჭრილი სამი ქვა გულზე უნდა დაგვანვეს?

- გვირგვინს არ ექნება დეტალები. გაპრიალებული, ოქროსფერი, ცერადა არის დამაგრებული, თითქოს ვარდება. ქვები შველერებზე ეწყობა, ქვემოთ მინაა, ჰაერი მოძრაობს.

- გვირგვინს არ მოიპარავენ?



ნატალია, რამაზ ჩხიკვაძე

- ვერ მოიპარავენ, შტირებით დამაგრდება. პანთეონს მეთვალყურე ჰყავს.

- პირველ ვერსიაში მომწონს კარნიზი და საფლავის ქვის საფეხურები. შეიძლება მეორე ვერსიაში საფეხურების გადმოტანა?

- უპრობლემოდ...

- ეს თავდახრილი ბოძები სხვა ქვის, სხვა ფერის რომ იყოს, ვთქვათ, ყაზბეგის ქვის. არა, არ ივარგებს, მეოთხე ფერი შემოდის.

- სად არის ოთხი ფერი?

- შავი გაბრო, ოქროსფერი გვირგვინი, წარწერა რომ ამოიჭრება, ისიც ხომ ფერია? ნუ დაიზარებ, ამ ვერსიის რენდერი მოამზადე, საფეხურებიც დაიტანონ, შევხედოთ.

- კიდევ ერთი რამ, ეს თავდახრილი ბოძები გაპრიალებულ გაბროზე მკვეთრად აირეკლება. მზის მოძრაობასთან ერთად, ანარეკლიც იცვლება.

- ეს ვერსია მომწონს, ზუსტია. ორიგინალური, თეატრალური, მე-

ორეც კარგია, მაგრამ ვისი გვარიც დაენერება, მისი იქნება.

რამაზის არჩევანით ოჯახი კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით შვილიშვილები.

- ჩემო რამაზ, ზუსტი ხარ. მოუნონა ლევან ჭაჭიაშვილმა, ცნობილმა დასტაქარმა, უახლოესმა მეგობარმა, რომელიც ბოლო დღეებში გვერდიდან არ შორდებოდა.

- თუ მოგწონს, დაამტკიცე პროექტი, - ვიხუმრე.

- რატომაც არა.

აილო კალამი, ფოტოზე წაანერა: რამაზ ჩხიკვაძე, 8.IX.2011.

- რას დამიტოვებ, მაკეტს, ფოტოებს?

- რამაზ, არ გეწყინოს, არაფერს არ დაგიტოვებ. უამრავი ადამიანი მოვა, ყველა რჩევებს მოგცემს. მაქვს მწარე გამოცდილება. ამას წინათ, ჩემი საყვარელი პიროვნების საფლავის პროექტიდან, კეთილმოსურნეებმა მეტყველი დეტალი ამოაგდეს, ყველაფერმა აზრი დაკარგა.

- ორი ფოტო დატოვე, არავის ვაჩვენებ, პროექტი ხომ დავამტკიცებ, ხო, როგორ დაჯდება წარწერა, რომელი შრიფტები იქნება, როდის მაჩვენებ?

- ორ-სამ დღეში.

- ჩემი წიგნი ხომ გაქვს?

- კი, ნოდარ გურაბანიძემ მაჩუქა. წავიკითხე, მომეწონა. ნოდარი ბრწყინვალედ წერს. ისე, შენი ნაჩუქარიც რომ მქონდეს...

- ორი რად გინდა?

- ერთს შენს ნათლულს, თეას ვაჩუქებ...

- ერთი წიგნი მომიტანე, - უთხრა საშას. წაანერა: ჩემს საყვარელ ჯემალს, ქართული არქიტექტურის სიმდიდრეს, კეთილი სურვილებით.

**10 სექტემბერი  
შაბათი, 2011.**

საშამ დამირეკა, - მამას საქმე აქვს. წარწერაც აინტერესებს.

მივედი. რამაზი წევს. ამაყნეთ,



რამაზ, ალექსანდრე ჩხიკვაძე, ვახტანგ დავითაია

ეს პერანგი ჩამაცვით, – მიანიშნა შავ პერანგზე მედას. ბატონი ლევანიც მიეშველა. ეტლით მაგიდასთან დასვეს.

– როგორ გაქვს თვალი, მოგემატა მხედველობა?

– არა, მხედველობა სტაბილურად ცუდია.

– კიდევ კარგად გადარჩი. 14 ლარი ამოგაცალეს არა, გარენრებმა. გახსოვს, ლამის მუსოლინი რომ გაგზადე?.. ლევანს მოუყვა, – ოცდაათი წლის წინ, ჩვენთან თეატრში მოვიდა ორსერიანი ფილმის პობედას გადამღები ჯგუფი, რეჟისორი, ასისტენტი, 4-5 კაცი. მე სტალინის როლი შემომთავაზეს. ეძებდნენ მუსოლინს და რუზველტს. გაშალეს ფოტოები, მკითხეს, – ხომ არ გყავთ შესაფერისი მსახიობები? ცნობილმა მუსოლინის როლის შემსრულებელმა იტალიელმა მსახიობმა ისეთი დიდი ჰონორარი მოგვთხოვა, იმ თანხით ორივე სერიის გადაღებას ვეგემავდითო. დავხედე ფოტოებს, მუსოლინიც მყავს და რუზველტიც. ოღონდ მსახიობები არ არიან. ორივე არქიტექტორია. კახა ჯავახიშვილი ზედგამოჭრილი რუზველტი იყო, შენ მაგრად გავდი იმ დროს მუსოლინს. შეგვახვედრეო, მთხოვეს. კახამ უარი თქვა, შენ მოხვედი, გადაიღეს პრობები აქედან-იქედან.

კარგად მახსოვს, როგორ მამუშავებდნენ – გადაღებები ევროპის ქვეყნებში იქნება, მუსოლინის საყვარლებთან ერთად და ა.შ.

– მერე ის იტალიელი დაითანხმეს რუსულ ჰონორარზე. ასე ჩამეშალა შენი გამუსოლინება, მე კი გადამიღეს სტალინის როლში.

ახლა მთავარზე. ორი დღე სულ საფლავზე ვფიქრობ. დავიტანჯე კაცი, ბრწყინვალეა, არტისტული, ნატაშაც არის, მაგრამ ვერ ვეგუები. ზემოდან ქვები რომ გვანევს. შენ კი ამბობ შველერებზე იქნებაო, მაგრამ მაინც. იცი რააა, მინდა მანვიმდეს, მათოვდეს, მზე მაცხუნებდეს. ჩაფიქრდა, ორჭოფობს. მთელი თბილისი გაკრეფილია ქალაქიდან, ელდარი ავად გახდა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ისიც ამ თავდახრილი ბოძების ვერსიას მოიწონებდა.

გადანყვეტილების შეცვლა მოულოდნელი იყო, მაგრამ მკაფიოდ დასაბუთებული.

– რამაზ, ორ-სამ დღეში გექნება, რაც გსურს, დაგანვიმს, დაგათოვს, მზეც დაგაცხუნებს, – გულიანად იცინის.

შვებით ამოისუნთქა, იოლად რომ დავთანხმდით.

**17 სექტემბერი  
შაბათი, 2011.**

– რამაზ, ამასწინათ ფოტოები რომ გადავიღე, ამოვებეჭდინე. არ მოსწონს თავისი თავი. უგულოდ ათვალეირებს. ეს ორი ფოტო დახიე, საშინელებაა. მომანოდა, დავხიე.



**ვახტანგ დავითაია, რამაზ ჩხიკვაძე,  
ლევანჭაჭიაშვილი**

ვაჩვენე ახალი ვერსიის ესკიზები, ფოტოები. დიდხანს უყურა, მომჩვენა სხვაზე ფიქრობდა ან სულ არ ფიქრობდა. დღითიღვე იღევა, თავდება.

– ეს უკანა ქვა რა ზომის არის, იშოვიან?

– სისქე 15 სმ-ია, სიგანე 140 სმ. სიმაღლეში 160 სმ. მთლიანი უნდა იყოს, არ გავაჭრევიანებ.

– გვირგვინი კედელზე მაგრდება? ნარწერა რა ზომის არის, ნატაშა არ დაანერო, ნატალია უნდა იყოს. კედელზე სურო იქნება? კარნიზი აქაც მომწონს.

– რამაზ, მაკეტების, რენდერების, ნარწერების მომზადებაში ჩემი სამი კოლეგა მესმარება.

– გადავუხადოთ მერე.

– რა უნდა გადაუხადო. წიგნები აჩუქე შენი ნარწერით, გაუხარდებათ.

– ნატალია, სამი წიგნი მომიტანე. ვხედავ ხელი შესიებული აქვს, კალამს ვერ იჭერს.

– ვახტანგმა ნაანეროს, შენ ხელი მოანერე, – ურჩია ლევანმა.

– როგორმე მოვახერხებ. გადამიშალე ყდა, სახელები მიკარნახე.

– დიანა, თენგიზი, გელა.

წვალებით ნაანერა სამივე წიგნს ერთი და იგივე ტექსტი: დიდი მადლობა, ჩემო... რამაზ ჩხიკვაძე.

– სიტყვიერადაც გადაეცი ჩემი მადლობა.

ლევანმა ლიფტამდე მიმაცილა, – არ მომწონს ხელები რომ შეუსივდა. გუშინ დაეწყო, ცუდად არის საქმე. მოშხამული ნამოვედი.

**8 ოქტომბერი  
ოთხშაბათი, 2011.**

სამამ დამირეკა, – რამაზმა გიკითხა, ნარწერის შაბლონი აინტერესებსო.

რამაზი დიდ ოთახში ზის ეტლში. უსმენს თავის სევდიან სიმღერებს.

– რა სუფთა ჩანანერებია, სტუდიაში ჩანერეს?..

– არა, უმეტესობა პირდანიის სპექტაკლის დროს არის ჩანერილი. თუ გინდა, გადანერე.

– რამაზ, წავიკითხე შენი ინტერვიუ, დიდი სიმართლე თქვი, ყოველგვარი ბოღმის გარეშე.

– აბა, შეიძლება რობიკოს ასე მოექცე? ეგრე სადაა, დიდი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ. ეს შეცდომა ხვალ, ზეგ თავის ნაყოფს გამოიღებს. რუსთაველის თეატრი ასეთ დარცმას ვერ გადაიტანს...

– ახალი სპექტაკლი ნახე?

– კი, ვიყავით პრემიერაზე ნათელა და მე. საოცარი გაცილება მოუწყო მაყურებელმა რობიკოს. ყველა ტიროდა, ფაქტობრივად, გამოიტირეს, გამოთხოვება იყო. ტაშის ხმა არ წყდებოდა. ია სუხიტაშვილს ხომ დაბალი ხმა აქვს, მეც ცოტა ყურს დამაკლდა, ტექსტი ცუდად მესმოდა. მთელი ყურადღება გადავიტანე: სპექტაკლზე, მოძრაობაზე, დინამიკაზე, რიტმზე, განათებაზე, კოსტიუმებზე. საუკეთესო სანახაობა იყო.

– აბა, შევხედოთ ნარწერას, კარგია. ჯვარს გადიდება ხომ არ უნდა, კარგად ზის?

– გოჩა დამანვინე.

დავემშვიდობე. დავპირდი, მალე შემოგივლი, დავტოვე სევდიანი სიმღერები. ვგრძნობ, ჩვენი ბოლო შესვედრა იყო...

**ვახტანგ დავითაია**





# ...სათაფლიაზე ორი კვალია...



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ექსპედიციის წევრები: ბატონები – შალვა ყიფიანი, ზურაბ ტატაშიძე, არსენ ოქროჯანაშვილი, ბორის გერგედავა, ჯუმბერ ხომასურიძე და ამ სტრიქონების ავტორი ნყალტუბო-სათაფლიას მიდამოებს ვეწვიეთ.

იმ დღეს, სათაფლიას მღვიმეში პირველად გავიცანი საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, მხარეთმცოდნე, ისტორიული ძეგლების თავდადებული მცველი, კარსტულ მღვიმეთა მკვლევარი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული პეტრე ჭაბუკიანი.

...ვის არ მისწერა სულგანათებულმა ბატონმა პეტრემ, ვისთან არ მივიდა, ვინ არ „შეაწუხა“, რომ ბუნების უიმპიათესი ძეგლი დაეცვათ, მაგრამ ვერას გახდა.

– სახლში სკამი არა მაქვს, მაგრამ ჯანდაბას, ჩემთვის არაფერს გთხოვთ, ოღონდ ნაკვალევის დარდს ნუ ჩამატანთ საფლავში; მოუარეთ, უპატრონეთ, თორემ ასეთ უსულგულობას მომავალი თაობა არ გვაპატიებს, შერცხვებითო, – არა ერთხელ დაუჩივლია...

სამწუხაროდ, ვერ მოვუარეთ, ვერ ვუპატრონეთ, შევრცხვით...

როგორც იქნა ასრულდა ბატონი პეტრე ჭაბუკიანის ოცნება! 77 წლის შემდეგ, სათაფლიის მღვიმეს და დინოზავრების ნაკვალევს მზრუნველი გამოუჩნდა. მართალია, ძალიან დაგვიანებით, მაგრამ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“...

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტომ მოიპოვა გრანტი, რომელიც სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვისაა გათვალისწინებული.

ვესაუბრებით დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ მარიამ მრევლიშვილს.

– ტურიზმი ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული, – განაცხადა მან, – ამ მხრივ მეტად საინტერესო, ტურისტულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის კეთილმოწყობას, რომელიც ქუთაისის მახლობლად მდებარეობს, და ადმინისტრაციულად ნყალტუბოს მუნიციპალიტეტში შედის. ნაკრძალი მდიდარია იშვიათი

გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, სპელეოლოგიური, ზოოლოგიური და ბოტანიკური ნიმუშებით. ნაკრძალის ფართობი სამასორმოცდაათ ჰექტარზე მეტია, რომელიც კოლხური ტყითაა დაფარული. ნაკრძალის მთავარი ღირსშესანიშნაობაა სათაფლიის მღვიმე და მერგელოვანი კირქვის შრეებზე აღბეჭდილი დინოზავრების ნაკვალევი, რომელიც გადაუდებელ დაცვას საჭიროებს.

სააგენტომ მოიპოვა გრანტი, რომელიც სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალს ახალ სიცოცხლეს შთაბერავს.

საგრანტო შეთანხმების მიხედვით, იზ-ის მიერ გამოყოფილი სამი მილიონ ხუთასი ათასი დოლარის გრანტი მთლიანად სათაფლიის ნაკრძალის კეთილმოწყობას მოხმარდება. პროექტით გათვალისწინებულია ნაკრძალის ცენტრალური შესასვლელის, ვიზიტორთა ცენტრის, ცარცული პერიოდის პარკის, და რაც მთავარია, დინოზავრების ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობის მშენებლობა; მღვიმეში დაიგება სავალი ბილიკი, გვირაბი მხატვრულად განათდება, შესასვლელთან და გამოსასვლელთან გაკეთდება რაბები, რომელიც მღვიმეში ჰაერის ნაკადების მოძრაობას დაარეგულირებს; მღვიმის შესასვლელთან მოეწყობა სამზერი მოედანი; გამოსასვლელთან კი აიგება საგამოფენო დარბაზი, კაფეტერია; კოლხურ ტყეში მოეწყობა სავალი ბილიკები და საპიკნიკე ადგილები.

ერთი სიტყვით, ეს იქნება უმაღლეს დონეზე მოწყობილი ტურისტული კომპლექსი.

პროექტი 2010 წლის ბოლომდე განხორციელდება, –



პეტრე ჭაბუკიანი დინოზავრის ნაკვალევთან

ბრძანა დასასრულს მარიამ მრევლიშვილმა.

გამორჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოტია იოსელიანი ახლახან დაბრუნდა ავსტრიიდან, როგორც კი შეიტყო, რომ წლეულს კეთილმოწყობის სამუშაოები იწყება, მაშინვე სათაფლიაზე მოისურვა ასვლა, პეტრე ჭაბუკიანის საფლავზე.

მანქანაში ხუთნი ვართ, წინ გვიშტიბელი ბრძენკაცი ზის. საჭესთან ბატონი იოტიას ვაჟია, ბავშვების საყვარელი გმირის დაჩის პროტოტიპი.

უკან სამნი ვართ, – ბატონი ოტიას სიყრმის მეგობარი ზალიკო ბოჭორიშვილი, დაჩის უახლოესი ადამიანი გიორგი ამისულაშვილი, და თქვენი მონა-მორჩილი.

ათ წელზე მეტია, სათაფლისკენ მიმავალ გზაზე არ გამივლია. მიხარია, რომ ვილაც დალოცვილის კეთილ ნებას და ჯადოსნურ მარჯვენას გზა ისე მოუწესრიგებია, ავთვალს არ ენახება.

ხელთ მაქვს ბატონი ოტია იოსელიანის ავტობიოგრაფიული ნოველების კრებული, – „ჩემი თავგადასავალი“.

კრებულში ბევრი სულისშემძვრელი ნოველია, რომელთაც დროდადრო ხელახლა ვკითხულობ.

ამჯერად სათაფლისკენ მიმავალს, მეგზურად მიმყვება ნოველა „პეტრე ჭაბუკიანი – დინოზავრის ნაკვალევი“, რომელიც მეტად ძვირფასია ჩემთვის.

– პეტრე ცოცხალი ლეგენდა იყო, არა ერთის საავტორო, არა ერთის საკუთრება. გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებს, თუ მისი საფლავისთვის ვინმე ფოტოებით ან ხსოვნითი პორტრეტით გამოძერწვას ეცდება, – ამბობს ბატონი ოტია, – იქნებ, ახლა მაინც მიხედონ პეტრეს საფლავს. არქიტექტორებს ჩვენი ჩანაფიქრი უნდა მივანოდოთ. გრანიტის ლოდი, „ობოლი ქვას“, უნდა მოვიძიოთ, რომელზეც ოსტატს სიმბლურ მინიშნებას დავასმევინებ.

– იქნებ გამანდოთ, რა სიმბოლო უნდა დასვათ. – ვეკითხები.

– მაგას მერე გეტყვი, როცა სასურველ მონოლითს ვიპოვით, – მპირდება ბატონი ოტია.

– პეტრე რომ გარდაიცვალა, მისი დაკრძალვა საპატიო ადგილზე – მწვანეყვავილას პანთეონში უნდოდათ; ღმერთმა ააშენა იმის ოჯახი, ვინც ქუთაისის ხელმძღვანელობას ეს აზრი მიანოდა, – განაგრძობს ბატონი ოტია. – ყველა კვდება და ყველას სამარე სასაფლაოზეა. პეტრესი – სათაფლიაზე, იმიტომ, რომ პეტრე სხვააა, პეტრე ერთადერთია, გამორჩეული, განუმეორებელი, ამიტომ პეტრე სწორედ აქ უნდა ყოფილიყო, სათაფლიაზე, მარტოდმარტო, თავის აღმოჩენილ, თავის შექმნილ თავის ნალოლიავებს სამყაროში.

მიხვეულ-მოხვეული გზით მალლა-მალლა მივიწვევთ, მღვიმისკენ.

ნაკრძალის ტერიტორიაზე ვართ.

ქვემოთ, მინდორში, თოვლის ლაქები აქა-იქ თუა შემორჩენილი, აქ, ნაკრძალის ტყეში კი მტკაველზე მეტია!

– ნაკრძალი ბოლოს გახდა, თვარა მანამდე უპატრონო, პარტახი, ბრაკონიერთა სათარეშო იყო, ოთხასი ჰექტარი რცხილის, ვერხვის, ნიფლის, ნაბლის, ბზის, უთხოვარის ტყე, რომელსაც წალდ-ნაჯახ-თოფიანი ორფეხა ნადირები შესეოდნენ – გულისტკივილით იხსენებს ბატონი ოტია. – ყოველდღიური ბრძოლა-ჭიდილით გადაარჩინა მან ნაკრძალის ტყე, თუმცა ნაკვალევს ვერაფერი უშველა.

სამი დღის წინ წყალტუბოში თოვდა. შემდეგ ისეთი ქარბორია დატრიალდა, ლამის წალეკა ქვეყანა.

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა... ისეთ ამინდში თუ ინატრა გალაკტიონმა...“



ოტია იოსელიანი

დღეს კი მზე ჩახჩახებს; დაჭირბული თოვლი მზეზე აღმასებრით ბრწყინავს...

დირექციის შენობასთან ვჩერდებით, შენობიდან გამოგვეგებნენ ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორი ზაალ კვანტალიანი, მისი თანამშრომლები, – ავთანდილ ჩიტიძე, ვალერი ჯოჯუა, გოჩა ყუბანიშვილი, გიორგი ბალანჩივაძე, თემურ გოგოშვილი; მოგვესალმნენ, გაუხარდათ ბატონი ოტიას დანახვა...

ბატონი ოტია პეტრეს საფლავთან მივიდა.

ირგვლივ იდილიური სიჩუმეა, სევდიანი მდუმარება...

ფიქრებში გარინდული ბატონი ოტია ალბათ უკვე კარიერებზეა, გრანიტის მონოლითს, „ობოლ ქვას“ დაეძებს, მეგობრის საფლავისთვის, აქაურობას უფარდებს.

ერთი „ნაკლი“ აქვს ბატონ ოტიას, – თუ რამე ჩაიფიქრა მორჩა, – მანამ არ მოუშვება, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს დაწყებულ საქმეს.

სამი დღის წინათ წყალტუბოდან დაჩიმ დამირეკა, – ბატონ ოტიას უკვე მოუვლია ჯიშასტაროს, კურსების, ოხომერას, ოფურჩხეთის კარიერები. მეგზურობას უწევდნენ მოქანდაკე გურამ კვიციანი, ბატონი ოტიას შემოქმედების საუკეთესო მცოდნე და დამფასებელი, იურისტი მალხაზ საჯაია და ზალიკო ბოჭორიშვილი.

ამიტომ მჯერა, რომ ბატონი ოტია „ობოლ ქვას“ იპოვის, აუცილებლად იპოვის...

პეტრე ჭაბუკიანის სხვადასხვა დროს გულთბილი სტრიქონები უძღვნეს პოეტებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა...

პირადად მე, ბატონი პეტრეს სახელის გაგონებისას, უმალ ლილი ნუცუბიძის სტრიქონები მახსენდება, – „სათაფლიაზე ორი კვალია, დინოზავრის და შენი კაცობის“...

გავა ათეული, ასეული წლები; ბევრი ჩვენგანის ხსენებაც არ იქნება ამ ცოდვილ მინაზე... პეტრე ჭაბუკიანის საფლავზე დადებული გრანიტის ლოდი-ძეგლი კი ათასეულ წლებს გაუძლებს.

ბატონი პეტრეს მიკვლევლმა ნაკვალევმა, ავად თუ კარგად, ას ოც მილიონ წელს გაუძლო...

დღეს, აღმოჩენიდან სამოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ, ამ ნაკვალევს მზრუნველი გამოუჩნდა.

ნაკვალევი გადარჩა...

...თუნდაც იმას, რაც გადარჩენილია, დროის მსახვრალი ხელი უკვე ვერას დააკლებს...

ამიერიდან, ბატონი პეტრე ჭაბუკიანის სახელს დავინწყება არ უწერია...

ჯუმბერ ჯიშკარიანი  
სპელეოლოგი და ყურნალისტი

# აქ ოღესლას გიგანტური დინოზავრები სხოვრობდნენ...



სათაფლია თაფლის ადგილს ნიშნავს, სადაც ბევრი თაფლია. აქ მთის ფერდობზე ფუტკრებს ოჯახები ჰქონდათ. თაფლი პირდაპირ ციცაბო კლდეზე იღვრებოდა. ახლა, ამ ადგილას არის გადასახედი ბაქანი ვიზიტორებისთვის.

ნაკრძალის ტერიტორიაზე კოლხურ ტყეში იხილავთ სხვადასხვა ხე-მცენარეებს – ნიფელი, ნაბლი, რცხილა, თელა, ბზა, ძელქვა, მურყანი, ცაცხვი, მუხა, პანტა, მაჟალო და სხვ. ისმის შეკითხვა, – რატომ არის ტყე განსაკუთრებული? – აქ ბალახი საერთოდ არ ხარობს, ფოთლოვანი ხეები მზის სხივებს თითქმის არ ატარებს.

ნაკრძალში ძირითადი სანახაობაა დინოზავრების ნაკვალევი. ბოლო რეკონსტრუქციის დროს, აშენდა პავილიონები, მოეწყო ტურისტული ბილიკები, გაიხსნა ვიზიტორთა ცენტრი (სოფელი მანუჯა). საუკეთესოა ოჯახური მოგზაურობისთვის – მარტივი საფეხმავლო მარშუტები დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობის, უნიკალური კარსტული მღვიმის, საგამოფენო დარბაზის, რელიქტური კოლხური ტყის და ველური ფუტკრის საბინადრო გარემოს დათვალიერებისთვის. პანორამული გადასახედიდან იშლება იმერეთის ულამაზესი ხედები.

სათაფლიას დინოზავრები *Satapia zaurus*-ს სახელით არიან ცნობილი. აქ აღმოჩენილია მტაცებელი და ბალახისმჭამელი დინოზავრების ნაკვალევი. ნაკრძალში არის ბიოსპელეოლოგიური მუზეუმი, გეოლოგიურ წარსულში, როცა ზღვის ნაპირი იყო, 65 მილიონი წლის წინ, ამ მიდამოებში დინოზავრებმა გაიარეს და ნაკვალევი დატოვეს. ნაკვალევი ორ ფენაზეა წარმოდგენილი, რაც უნიკალური და იშვიათი მოვლენაა მსოფლიოში.

## სათაფლიას ნაკრძალი – ქართული იურული პერიოდის პარკი

სათაფლიას ნაკრძალში აღმოჩენილია შვიდი სახეობის 25 დინოზავრის ორასამდე ნაკვალევი. სათაფლია ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც ერთსა და იმავე ადგილზე, როგორც ბალახისმჭამელი, ასევე მტაცებელი დინოზავრების ნაკვალევია აღბეჭდილი.

ყველაზე საშიშ დინოზავრებს ეწოდება ტირანოზავრი – ბერძნული სიტყვების – ტირანი-ს და ზაურუს (ხვლიკის) შერწყმით წარმოიშვა. ტირანოზავრების გამოჩენა დიდ შიშს იწვევდა სხვა დინოზავრებში. ზოგიერთი ტრაქოდონი შიშისგან ჭაობებში პოულობდა თავშესაფარს, ზოგი, სირაქლემას მსგავსი, დიდი სისწრაფით გარბოდა. რომ გადაერჩინა თავი, რადგან ძლიერ მტაცებლებს ვერ უწევდა წინააღმდეგობას.

ტირანოზავრების სიმაღლე, უკანა ფეხზე დგომის დროს, ხუთ მეტრს აჭარბებდა. სიგრძე – თხუთმეტ მეტრს, წონა შვიდ ტონას. იგი მასიური, ხანჯლისებრი, ბასრი და დიდი კბილებით იყო შეიარაღებული. სხეულის საყრდენად ძლიერი კუდი და მასიური უკანა კიდურები ჰქონდათ. ხოლო რედუცირებული წინა კიდურები დანამატის სახით.

ტირანოზავრების ნაფეხურებით დაზუსტდა, მათი ტერფის სიგანე 79 სმ-ს უდრიდა, სიგრძე – 76 სმ-ს, ნაბიჯი – 3,76 მ-ს. ისინი ყველაზე დიდხანს შემორჩნენ დედამიწას და 65 მილიონი წლის წინ გადააშენდნენ.

სტეგოზავრი იურული პერიოდის დაახლოებით 210-144 მილიონი წლის წინ მობინადრე ერთ-ერთი ტიპიური ოთხფეხა ბალახისმჭამელი დინოზავრების წარმომადგენელია. მათი სხეულის სიგრძე ცხრა მეტრს, წონა ოთხ





ტონას აღწევდა. გრძელ კისერზე პატარა თავი, ხოლო კუზიან ზურგზე ორ რიგად ჭადრაკისებურად განთავსებული რომბისებური ფორმის ფირფიტები, კუდის მონაკვეთზე ბასრი გარქოვანებული წანაზარდები. *სტეგოზავრებს* წინა ფეხები მოკლე, უკანა ორჯერ გრძელი და ბოძებივით მსხვილი ჰქონდათ.

*სტეგოზავრების* კვალი და სხეულის სხვადასხვა ნაწილები პირველად 1877 წელს აღმოაჩინეს ჩრდილოეთ ამერიკაში, დერვერის სიახლოვეს, ქალაქ მორისონში, სადაც 130 წლის შემდეგ ახალშობილი *სტეგოზავრის* ნაკვალევი იპოვეს, რომელიც ჩვილი ბავშვის ტერფის ზომის იყო. მოგვიანებით, *სტეგოზავრების* კვალი და სხეულის ნაწილები აღმოაჩინეს ჩინეთში და მონღოლეთში. სავარაუდოდ, *სტეგოზავრები* მთელ დედამიწაზე იყვნენ გავრცელებული.

*იგუანოდონი* ყველაზე საინტერესო და საშიში დინოზავრი იყო, რომლის ჩონჩხი პირველად ბელგიაში აღმო-

აჩინეს. ის ასი მილიონი წლის წინ ცხოვრობდა. *იგუანოდონის* ბინადრობდნენ მდინარის, ტბისა და ზღვის პირას არსებულ დაბურულ ტყეებში. გიგანტური ხვლიკების სიმალე სუთ მეტრს, სიგრძე ათ მეტრს, წონა სამ ტონას აღწევდა. ისინი მძიმედ დადიოდნენ, თუმცა, უკანა ფეხებზე დაყრდნობით, შეეძლოთ სწრაფად სირბილი. წინა ფეხებზე 5-5 თითი ჰქონდათ, ერთი გარქოვანებული დაბოლოებით – ბრჭყალით იყო დაფარული, რომელსაც ხშირად თავდაცვის მიზნით იყენებდნენ. სხვა დინოზავრებთან შედარებით, ნაკლები რაოდენობის ბრტყელი კბილებით იყვნენ შეიარაღებული.

ბავშვებო! იმოგზაურეთ გეოლოგიურ წარსულში, სათაფლიას ბიოსპელეოლოგიურ მუზეუმში. დინოზავრების ნაკვალევი ბუნების უნიკალური მოვლენაა და ჩვენი სავიზიტო ბარათი მსოფლიოში.

მამ ასე, გელით ყველას სათაფლიას ნაკრძალში...

ლელა სურმავა



# ...ბავშვებო, შეხედეთ უფროსებს...



ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის პატარა უფლისწული 180 ენაზეა თარგმნილი. შედის 50 მსოფლიო ბესტსელერების სიაში. თუმცა, საბავშვო წიგნად მოიაზრება.

პატარა უფლისწული ყველა ბავშვის საყვარელი ნაწარმოებია. მისი ავტორი, ცნობილი ავიატორი ჟან ბატისტ მარი როჟე დე სენტ ეგზიუპერი – ანტუან დე სენტ-ეგზიუპერია.

მიუხედავად იმისა, რომ მწერალს დიდხანს არ უცოცხლია, მთელი ევროპა და სამხრეთ ამერიკა აალაპარაკა თავისი ექსტრავაგანტული ცხოვრებით და სარისკო სიტუაციებისადმი ლტოლვით.

ანტუანი საფრანგეთის ქალაქ ლიონში ხუთშვილიან ოჯახში დაიბადა. მამის გარდაცვალების შემდეგ, ის ჯერ იეზუიტების დახურულ სკოლაში მიიყვანეს, შემდეგ შვეიცარიაში კათოლიკურ სასწავლებელში გაგზავნეს.

მოგვიანებით ისევ საფრანგეთში დაბრუნდა. პარიზის ხელოვნების უნივერსიტეტში დაიწყო არქიტექტურის შესწავლა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხვდა პარიზის ელიტურ საზოგადოებაში.

ეგზიუპერისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1921 წელი. ჯარში გაიწვიეს, ერთი წელი მფრინავის პროფესიას ეუფლებოდა. როდესაც მფრინავის მართვის მოწმობა აიღო, მიხვდა, ფრენა მისი მთავარი მოწოდება იყო.

ყველაზე მძიმე წლები ომის პერიოდი იყო. პროფესიით არქიტექტორს სამსახურის შოვა გაუჭირდა. ამიტომ, ნეზისმიერ სამსახურზე იყო თანახმა. მძიმე წლები და სხვადასხვა პროფესიებით მიღებული გამოცდილება იმით დასრულდა, რომ მწერალმა ავიაკომპანია აეროპოსტალში მფრინავად დაიწყო მუშაობა. წარმატებულ პროფესიულ კარიერას, პირად ცხოვრებაშიც მოჰყვა წარმატება. სამხრეთ ამერიკაში მუშაობის დროს, მან ორჯერ დაქვრივებული მწერალი და მხატვარი კონსუელო სუნსინი

გაიცნო. კონსუელო მისი ცხოვრების დიდ სიყვარულად იქცა და ცოლად შეირთო.

წყვილი ამერიკაში ცხოვრობდა. ეგზიუპერი იმ პერიოდში საკმაოდ წარმატებული იყო. მეუღლე მას ერთი წუთით არ ტოვებდა, სულ თან დაჰყვებოდა. მოგზაურობები იმით დასრულდა, რომ პარიზში დასახლდნენ. ფრანგულმა ბოჰემურმა ცხოვრებამ სულ გააბრუა მწერლის მეუღლე. რამდენიმეჯერ უღალატა მას. მაგრამ, ამ საკითხზე ეგზიუპერი ხშირად ამბობდა, რომ მისთვის სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალება, ლამაზ მანდილოსანთან დროის გატარება იყო. წყვილი სულ ერთმანეთზე ეჭვიანობდა. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სკანდალებს აწყობდა. მწერლის მორიგი ღალატის გამო, კონსუელო თავის მოსაკლავად სახლიდან წავიდა. თუმცა რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და საღამო ბარში გაატარა.

ეგზიუპერმა იცოდა, მისი საყვარელი ქალი ოჯახის წევრებს არ უყვარდათ. მის მეუღლეს არ აღიარებდნენ. სკანდალები მათი ცხოვრების მუდმივი მეგზური გახდა. ერთ-ერთი ასეთი სკანდალის დროს, კონსუელომ მას იმპოტენტი უწოდა. მისი ყველაზე დიდი საიდუმლო გაამჟღავნა. სწორედ იმ ღამით, მწერალი საჰარას მიდამოებში ავიაკატასტროფაში მოჰყვა. რომ არა ერთი ღვთისწიერი ბედუინი, იგი სამშობლოში ვერ დაბრუნდებოდა.

ანტუანმა დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც ავიაციაში, ასევე მწერლობაში. პატარა უფლისწული უკვე გამოცემული იყო, როდესაც ამერიკაში მიიღო პრიზი ნანარმოებისთვის ქარი, ქვიშა და ვარსკვლავები.

მფრინავი სარდინიაზე გაფრინდა. ავიატორის თვითმფრინავი უკვალოდ გაქრა. ნახევარი საუკუნე მასზე არაფერი იცოდნენ. მხოლოდ ათეული წლების შემდეგ, მარსელის მახლობლად, ერთმა მეთევზემ სანაპიროზე იპოვა სამაჯური, რომელზეც ამოტიფრული იყო ანტუანი, კონსუელი, რეინალი და ხიჩკოკი.

ექსპერტიზამ დაადგინა, სამაჯური ნამდვილად ეგზიუპერს ეკუთვნოდა. საფრანგეთის მთავრობამ ექსპედიცია



გაგზავნა. თუმცა ათეული წლების შემდეგ გახდა ცნობილი, თვითმფრინავი სერიული ნომრით 2734L სავარაუდოდ, გერმანელმა ჯარისკაცმა ჩამოაგდო. თვითმფრინავის პილოტი კი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი იყო.

მწერალზე უზომოდ შეყვარებულმა კონსუელომ მეუღლეს მიუძღვნა წიგნი ვარდის ამბავი, რომელიც ოცის წლის შემდეგ იპოვეს და გამოსცეს...

ანტუანის პირველი მოთხრობაა სამხრეთის ფოსტა (1928.) მეორე – ლამის ფრენა (1931.). ეგზიუპერი ნიჭიერი ჟურნალისტის კალმით ეხმიანება საინტერესო მოვლენებს. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, როგორც ფრანგული გაზეთის კორესპონდენტი, შეშფოთებას გამოთქვამდა ევროპულ მომავალზე, რომელსაც ფაშიზმი ემუქრებოდა. მისი საუკეთესო ნაწარმოებია ადამიანის მინა (1939.). ომის დაწყების დროს, ანტუანი ავიაციაში აღარ მსახურობდა. მრავალი ხიფათის შედეგად მიღებულმა ჭრილობებმა, შეუზღუდა ავიაციაში სამსახურის უფლება. მაგრამ ისევ დაუბრუნდა თვითმფრინავს, იბრძოდა მტრის მიერ საფრანგეთის დაპყრობამდე. შემდეგ ამერიკაში მიემგზავრება. როგორც ემიგრანტი, დამარცხებულ სამშობლოზე დარდით, დამპყრობლისადმი მრისხანებითაა აღსავსე მისი მოთხრობა სამხედრო მფრინავი. სწორედ ნიუ-იორკში ცხოვრების დროს დაწერა თავისი ცნობილი ნაწარმოები პატარა უფლისწული.

ავტორი მოგვითხრობს, როგორ ხვდება საჰარის უდაბნოში არამინიერ პატარა პრინცს. მასთან საუბრის დროს, გადმოგვცემს თავის შეხედულებებს. მარტივ ქვმარიტებას, რომლებიც ადამიანებს თითქოს ავინყდებათ, როცა იზრდებიან. წიგნის არსი გადმოცემულია ცნობილი სიტყვებით, რომელსაც მელია ეუბნება პატარა პრინცს – დასანახს მხოლოდ გულით დაინახავ, მთავარი თვალისთვის უხილავია. მელიას გახმოვანებულია, – მუდამ პასუხს აგებ იმისთვის, ვინც მოიშინაურე... შენი ვარდი განსაკუთრებული იმიტომ გეჩვენება, რომ მის მოვლას დრო დაუთმე.



წიგნში ბავშვური ხედვა უპირისპირდება მოზარდთა ხედვას. ავტორის თქმით, ასეთები არიან დიდები. ამიტომ, მათზე გაბრაზება არ ღირს. ბავშვებს ისლა დარჩენიათ, უფროსებს შეუწოდონ...

ლელა სურმავა

### კომპი - მკურნალი ხილი

კომპი უბრალოდ ხილი არ არის, მას თავისუფლად შეიძლება ვუნოდოთ მკურნალი ხილი.

ამ საოცარი ხილის ნაყოფი შეიცავს დიდი რაოდენობით პექტინის ნაერთებს, ფრუქტოზას, გლუკოზას, კალიუმის მარილებს, რკინას, კალციუმს, ფოსფორსა და სპილენძს.

კომპის ნაყოფს აქვს შემკვრელი, შარდმდენი, ჰემოსტატიკური, ანტისეპტიკური მოქმედება და ხელს უწყობს გულისრევის შეჩერებას.

კომპის კურკებს გააჩნია დამამშვიდებელი, ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური მოქმედება. ამიტომ, კომპის კურკების ნახარში გამოიყენება სისხლიანი ხველის, საშვილოსნოდან სისხლდენისა და დიარეის დროს. კურკის ნახარში იყენებენ ასევე ანგინის დროს სავლებ საშუალებად.

კომპის რბილობის მურაბა და ნახარში ფართოდ გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს საჭმლის მომწელებელი ტრაქტის მუშაობის გასაუმჯობესებლად. მოხარშული და გახეხილი კომპი კი გამოიყენება ღვიძლის დაავადებების დროს და ლებინების საწინააღმდეგო საშუალებად.

უმ ნაყოფსა და წვეწვს გამოიყენებენ ასევე სისხლნაკლებობისას, საჭმლის მომწელებელი ტრაქტის დაავადებებისას, რომელთაც თან ახლავს სიყვითლე და სისხლდენა; გამოიყენება, როგორც შარდმდენი საშუალება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს. ამასთან, კომპის უმ ნაყოფს, რკინის დიდი შემცველობის გამო, იყენებენ რკინადეფიციტური ანემიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, ასევე მაღალი ტემპერატურის დროს.



კომპი არის დაბალკალორიული, დიეტური პროდუქტი.

კომპის კურკებისგან იღებენ ლორწოვან სითხეს, რომელსაც იყენებენ სავლებ, ამოსახველებელ და ხველის საწინააღმდეგო (ბრონქიტის დროს, განსაკუთრებით ბავშვებში), შემამსუბუქებელ (კოლიტისა და დიარეის დროს) და დამამშვიდებელ (კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებებისას) საშუალებად. ლორწოს ამზადებენ მთელი კურკებისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული ენდოსპერმაში არსებული ამიგდალინის, მომწამვლელი ნივთიერების გამოსვლა.

სტომატოლოგიაში კომპის ლორწოს იყენებენ გლოსიტის, გინგივიტისა და პარადოტოზის დროს.

კომპის ფოთლების ნაყენი ამცირებს და აჩერებს, ბრონქული ასთმის შეტევას.

კომპის ფოთლებისა და კურკის ჩაი შესანიშნავი შარდმდენი საშუალებაა თირკმლების დაავადებების დროს.

ჩამოთვლილი სამკურნალო თვისებების გარდა, კომპს აქვს უკუჩვენებაც. კომპის რბილობსა და კურკას აქვს შემკვრელი ეფექტი. იმ ადამიანებში, რომლებიც დაავადებულნი არიან ენტეროკოლიტით ან კუჭის წყლულით, ამ ხილის ნაყოფმა შეიძლება გამოიწვიოს ნაწლავური სპაზმები და გაუვალობა და გააღიზიანოს ლორწოვანი გარსი.

კომპი არ უნდა მიირთვათ, თუ პლევრიტი და ყაბზობა გაწუხებთ!

☺ ☺ ☺

ორი გურულის საუბარი:  
- გამარჯობა რაჟდენა, რაფრაა თუ იცი შენი საქმე?..  
- მაი არაა შენი საქმე...  
- მაშვინ, რაფრაა მსოფლიოს საქმე?..  
- მაი არაა ჩემი საქმე!..

☺ ☺ ☺

მოსამართლე ეკითხება გურულს:  
- ბრალდებულო, ნანობ, არყის ბოთლი რომ ჩაარტყი დაზარალე-ბულს?..  
- ვნანობ, აბა რას ვშობი, გოუხ-სნელი ბოთლი იყო, ძამა...

☺ ☺ ☺

გურული ბაზარში:  
- ამბროსი, ამ თხას ყიდი?  
- არა, ძამა, მორცხვია და ხალხს ვაჩოვ აქანე...

☺ ☺ ☺

გურულს ჭაში ჩაუვარდება სიდე-დრი. ნათესავემა მიუსამძიმრა:  
- რა გლახა ამბავი დაგემართა, ძამა?..  
- მაი აფერი, მაგ ჭიდან მაინც არ ვსვამდი წყალს...

☺ ☺ ☺

გურული კახეთში ჩავიდა. ხედავს მიხო ვირთან ერთად ერთ ამბავშია. გაეცინა:  
- რა გაცინებს? - ჰკითხეს.  
- ნახე, მიხოს ვირი თხა ჰგონია...

☺ ☺ ☺

შეკითხვა გურიაში:  
- რა ქენი ბიჯო, იშოვე სამუშაო, თუ ისეველე დეპუტატი ხარ?..

☺ ☺ ☺

გურულს ეუბნება ექიმი:  
- ისტორია უნდა გახსნათ, 25 ლარი ღირს...  
- საქართველოს ისტორია 12 ლარი ღირს, მე რა ვქენი ამფერი...

☺ ☺ ☺

- ვასო ტკივილებისგან რომ იჯ-ლანები, რეიზა არ სვამ გამაყუჩე-ბელს?  
- ნერვოპათოლოგმა არ და-ლიოო...  
- აბა, რა ვქნათ?  
- გუუძლებ...

- დედაა, ტკივილების გაძლება რაფერია?  
- რაფერია და 60 წელი შენ რომ გიძლებ, მარა არ გიკითხავს. გუუ-ძლებ ამასაც...

☺ ☺ ☺

გურულმა თქვა:  
- ნევეი, ვიქნები, რო მუალ...

☺ ☺ ☺

გურული ექთანს ეუბნება:  
- ჩემი შარდი მევიტანე...  
- ანალიზისთვის?

გურულმა კეფა მეიფხანა და უთხრა:  
- არა ცა, დეგუსტაციისთვის...

☺ ☺ ☺

გურულმა თქვა:  
- იმფერი დროა, პატარძლის ქალიშვილობას ვინ ჩივის, სიძე არ ჰყავდეს ვინმეს ნახმარიო...

☺ ☺ ☺

გურულმა თქვა:  
- იმფერი გლახათ ვარ, ბალანამ ტყულზე რომ დამიფიცოს, იმ წუთას მოვკვებებიო...

☺ ☺ ☺

- ქალო, გადმონეჩი ჩემთან. სიყ-ვარულის ცეცხლში უნდა დაგწვა...  
- მერე მაგ მფუტავი ფითილით, შე კაცო...

☺ ☺ ☺

გურულს ჰკითხეს:  
- როგორ დავსვათ ოთხი გეი ერთ სკამზე?  
- სკამი ამოატრიალეთ, ძამა...

☺ ☺ ☺

გურული რეკავს:  
- ალო, გამგეობაა? მუშაობა მინ-და დევიწყო თქვენთან...  
- მოქალაქე, თქვენ ხომ არ გა-მო... დით?  
- არა, მარა, მაი აუცილებელი პირობაა...

☺ ☺ ☺

გურულს ჰკითხეს:  
- რაფერი ურთიერთობა გაქვს ცოლთან?  
- ორი თვე არ ველაპარაკები.  
- რეიზა, იჩხუბეთ?  
- არ მაცლის, ძამა!..

☺ ☺ ☺

გურული ქალი მოდის ბაზრი-დან...  
ხორცი, მწვანილი, ყველი, ქათმის ფეხები ამოფშეკილია ჩანთიდან... ცოცხალი... მოკლედ, რა აღარ მო-აქვს...

შეფანდალდა სადარბაზოში და შარვალჩახდილი მანიაკი გადმოუხ-ტა წინ...  
- ტიტუუ, კვერცხის ყიფვა და-მავიწყდა...

☺ ☺ ☺

გურული ქალი უფრო კარგად ათბობს თავის მეორე ნახევარს, ვი-დრე სხვა...  
- რატომ?

- იმიტომ რომ ჯოჯოხეთის ცე-ცხლიდან იღებს სიმხურვალეს...

☺ ☺ ☺

- მათხუეთ დასაბჯენი ტორკა და გადავატრუალებ დუნიას (დედო-მინას) - ამბობს არქიმედე.

☺ ☺ ☺

ოზურგეთში ჩასულმა თბილი-სელმა იფიქრა, გურულებს ნავეკაი-ფებიო. მოხუც გურულს ჰკითხა:  
- ბაბუ, აქ საქონლის ნახირს ხომ არ ჩამოუვლია?  
- რა იყო, ჩამორჩი თუ?..

☺ ☺ ☺

აღდგომა დღეს სასაფლაოდან დაბრუნებული გურული მამას საყ-ვედურობს:


- რაი მამა, რეიზა მომჭერი თავი, გამომწყვიტე ყველას?..  
- რა ხთება შვილო?  
- რაი და, სასაფლაოზე ვინც იყო მოსული, ყველას მამა ყავდა კვტარი ჩემს გარდა!..

☺ ☺ ☺

ორი სვანი ცხენებს იყიდინ და ფიქრობენ, როგორ გავარჩიოთ ერ-თმანეთისგანო. ერთი ეტყვის მეო-რეს, - მოდი კუდები დავაჭრათო. დააჭრიან ორივე ცხენს კუდს და მაინც ვერ არჩევენ. მარჯვენა ყუ-რებსაც მოაჭრიან, მერე მარცხენას, ცხენები ისევ ერთნაირია. ბოლოს ერთი იტყვის, - მოდი, თეთრი შენი იყოს და შავი - ჩემიო...

## დათოვლილი ბახმარო

აქ დრო და სივრცე ცივილიზაციას ზემოდან დასცქერის,  
ჰედანტიც უი, შეიძლება თავისუფალ მოხეტიალედ იქცეს...



ISSN 2346-7606



9 772346 760009